საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის თემატური მომხსენებლის ანგარიში - საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება

თემატური მომხსენებელი: თეონა აქუბარდია,
საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი

საქართველოს პარლამენტი
თბილისი
თებერვალი, 2023 წელი

აღნიშნული ანგარიში მომზადდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women) პროექტის - „ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისათვის საქართველოში" ფარგლებში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის (CSSF) მიერ არის დაფინანსებული.

ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ წარმოადგენს გაეროს ქალთა ორგანიზაციის ან დიდი ბრიტანეთის მთავრობის კონფლიქტის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ფონდის ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორ(ებ)ი.

ანგარიში მოამზადეს: თეონა აქუბარდიამ და მაია ავალიანმა

ანოტაცია

თემატური მომხსენებელი	თეონა აქუბარდია
პოლიტიკური ფრაქცია/ჯგუფი	2020 წლიდან თეონა აქუბარდია არის საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი პარტიული სიით, საარჩევნო ბლოკი: „გიორგი ვაშაძე — სტრატეგია აღმაშენებელი“. 2022 წლიდან დამოუკიდებელი დეპუტატია და წარმოადგენს საპარლამენტო პოლიტიკურ ჯგუფს - „რეფორმერების ჯგუფს“
საპარლამენტო კომიტეტი	თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი
ძირითადი გამოწვევები	1. ქალებისა და ახალგაზრდების დაბალი წარმომადგენლობა და ნაკლებეფექტიანი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში, მათ შორის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადვოკატირებასა და განხორციელებაში; 2. ქალებისა და ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა სახელმწიფო პროგრამების შემუშავების პროცესში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე; 3. ქალთა დაბალი წარმომადგენლობა და მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; 4. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში - სახელმწიფო სტრატეგიებსა და კონცეფციებში ასევე, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის საკითხების, მათ შორის, კრიზისულ/საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ინფორმირების საკითხის, არასაკმარისი ინტეგრირება; 5. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ქალთა საკითხების არასამკარისი ასახვა; 6. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ქალთა არაეფექტიანი ჩართულობა; 7. კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციისათვის სპეციალური პოლიტიკისა და მექანიზმების არარსებობა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა სახელმწიფოს მიერ 2022 წელს აღებულ ვალდებულებებთან, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციის პოლიტიკური დეკლარაციის ფარგლებში;

ძირითადი გამოწვევები	8. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი პროგრამების დაბალი ეფექტიანობა; 9. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის პირველადი ჯანდაცვის, საჯარო სერვისებზე, განათლებაზე, ფინანსებზე, ინფორმაციაზე დაბალი ხელმისაწვდომობა; 10. პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა; 11. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების სიმცირე/დაბალი ხელმისაწვდომობა; 12. დევნილთა დასახლებებში, გამყოფი ხაზის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის (საცხოვრებელი, სამედიცინო, საგზაო, სატრანსპორტო) გაუმართაობა.
შესწავლილი საკითხები	1. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის არსი და მისი განხორციელების მნიშვნელობა; 2. ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატოს) მიერ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება; 3. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების საქართველოს 2012-2015; 2016-2017; 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმების შესრულება და ახალი 2022-2024 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი/გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიცირება; 4. საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშები, ექსპერტთა შეფასებები; 5. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურის, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, საქართველოს დაზვერვის სამსახურის, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახურის: ✔ უწყებაში დასაქმებულ პირთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების პროცენტული მაჩვენებელი; ✔ უწყებაში გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე დასაქმებულ პირთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების პროცენტული მაჩვენებელი.

შესწავლილი საკითხები	6. მცხეთის, დუშეთის, ქარელის, გორის, კასპის, ხაშურის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, წყალტუბოს, ქუთაისის, ხონის, საჩხერეს, ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციონირება და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა; 7. მცხეთის, დუშეთის, ქარელის, გორის, კასპის, ხაშურის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, წყალტუბოს, ქუთაისის, ხონის, საჩხერეს, ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტებში: ✔ გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმების შემუშავებული /დამტკიცებული/განხორციელებული, მათ შორის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის და მისი თანმდევი რეზოლუციების სამოქმედო გეგმების არსებობა; ✔ სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღების), საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების ჩამონათვალი ადგილმდებარეობის მითითებით; ✔ მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულში, ქალაქსა და სოფლებს შორის დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობა და განრიგი. 8. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებები.
შესწავლის მეთოდოლოგია	საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების შესწავლისათვის გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდოლოგია: 1. სამაგიდო კვლევა – არსებული ოფიციალური დოკუმენტების მიმოხილვა, მათ შორის: ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი შეფასების ანგარიშების, სამართლებრივი აქტების, საქართველოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ანგარიშების, ოფიციალური კორესპონდენციისა და სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება; 2. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა – საჯარო უწყებებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობების ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება ჯანმრთელობის დაცვის, საჯარო მომსახურებაზე, განათლებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე მოსახლეობის, მათ შორის დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

შესწავლის მეთოდოლოგია	3. ფოკუს ჯგუფებთან საკონსულტაციო შეხვედრები – ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფის შეხვედრა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან ზუგდიდსა და გორში არსებულ საჭიროებებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით. ასევე, სამეგრელოს რეგიონის გამყოფი ხაზის სოფელ ხურჩაში. საერთო ჯამში შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 29 ქალმა. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული იქნა ძირითადი გამოწვევები, შემუშავდა ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანად განხორციელებისთვის.
შესწავლის პერიოდი	2022 წლის 25 ოქტომბერი - 2023 წლის 20 იანვარი

სარჩევი

ანოტაცია 3

სარჩევი 8

მოკლე შეჯამება 9

1. შესავალი 11

1.1. ძირითადი გამოწვევები 11

1.2. თემატური მომხსენებლის მექანიზმის შესახებ 12

1.3. მეთოდოლოგია 13

1.4. ანგარიშის სტრუქტურა 14

2. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიმოხილვა 15

3. ნატო და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი 21

4. საქართველო და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი 24

4.1. პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (2012 – 2015 წწ.) 25

4.2. მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016 – 2017 წწ.) 28

4.3. მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018 – 2020 წწ.) 34

4.4. მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა (2022 – 2024 წწ.) 43

4.4.1 ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი 43

4.4.2 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული საკითხების ანალიზი 45

5. არსებული სიტუაციის ანალიზი 51

5.1. კონფლიქტების შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებების ანალიზი 56

5.2. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი 59

6. ძირითადი მიგნებები 65

7. რეკომენდაციები 67

8. გამოყენებული ლიტერატურა 72

9. დანართი 74

მოკლე შეჯამება

საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების მიზნით შესწავლილ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 და მისი თანმდევი რეზოლუციების მიზნები, გაეროს წევრი ქვეყნების ვალდებულებები, საქართველოს მიერ განხორციელებული ეროვნული სამოქმედო გეგმები,[1] საქართველოს სახალხო დამცველის, საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ დღის წესრიგის მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები, მათი რეკომენდაციები.

მომხსენებლის ანგარიშის ფარგლებში განხილულ იქნა სხვადასხვა ანგარიში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების არსებული საჭიროებების კუთხით, ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი ზუგდიდსა (ესწრებოდა 12 ქალი) და გორში (ესწრებოდა 15 ქალი).

რიგი სახელმწიფო უწყებიდან გამოთხოვილ იქნა განახლებული საჯარო ინფორმაცია, დასაქმებულ პირთა, მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემები, პროცენტული მაჩვენებლების მითითებით. ასევე, თვითმმართველი ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, გაანალიზდა არსებული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებისა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის საკითხი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებისათვის თვითმმართველ ერთეულებში, და ასევე გამყოფი ხაზების გასწვრივ მდებარე სოფლებში, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებმა, მათ შორის, უსაფრთხოების სექტორმა თერთმეტი წლის განმავლობაში ბევრი საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი და შედეგზე ორიენტირებული პროექტი დანერგეს თუ განახორციელეს.

საქართველოს მთავრობის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, კვლევამ გამოკვეთა, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ თემებში კვლავ ბევრი გამოწვევაა, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს სისტემურ მიდგომასა და დაუყოვნებელ რეაგირებას; განსაკუთრებით, ისეთი საკითხებისადმი, როგორიც არის ქალების დაბალი წარმომადგენლობა სამშვიდობო პროცესებსა და გადაწყვეტილების მიმღებ

1 1) ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა;
2) „საქართველოს 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ განხორციელებისათვის“ დამტკიცების თაობაზე;
3) „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს №№1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ.

დონეზე, მათ შორის, უსაფრთხოების სექტორში; ქალების დაბალი ჩართულობა კიბერუსაფრთხოებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებსა და სახელმწიფო პოლიტიკის და პროგრამების შემუშავებისას; ადამიანის უსაფრთხოებისა და კრიზისულ/საგანგებო სიტუაციებზე მზაობის შესახებ დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების დაბალი ინფორმირებულობა, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციის შესახებ პოლიტიკის და სპეციალური მექანიზმების არარსებობა; მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი პროგრამების ნაკლებობა; დაბალი ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ინფორმაციაზე, მედიკამენტებზე, ჯანმრთელობის დაცვისა და საჯარო სერვისებზე, სახელმწიფო პროგრამებსა და ფინანსებზე.

1. შესავალი

1.1. ძირითადი გამოწვევები

საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების შესწავლის პროცესში (სამაგიდო კვლევა, ფოკუს ჯგუფების შეხვედრები) გამოვლენილი ძირითადი პრობლემური საკითხების შეჯამება წარმოადგენს შემდეგს:

ქალებისა და ახალგაზრდების დაბალი წარმომადგენლობა და ნაკლებეფექტიანი ჩართულობა მშვიდობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, მათ შორის, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ირგვლივ არსებული საკითხების ადვოკატირებასა და განხორციელებაში;

1. ქალებისა და ახალგაზრდების დაბალი ჩართულობა სახელმწიფო პოლიტიკის, პროგრამების და ბიუჯეტის შემუშავების პროცესებში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე;
2. ქალთა დაბალი წარმომადგენლობა და მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
3. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტებში - სახელმწიფო სტრატეგიებსა და კონცეფციებში ასევე, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის საკითხების, მათ შორის, კრიზისულ/საგანგებო სიტუაციებზე ეფექტიანი რეაგირებისთვის დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ინფორმირების საკითხის, არასაკმარისი ინტეგრირება;
4. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ქალთა საკითხების არასამკარისი ასახვა;
5. ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ქალთა არაეფექტიანი ჩართულობა;
6. კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციისათვის ისეთი სპეციალური პოლიტიკისა და მექანიზმების არარსებობა, რაც შესაბამისობაში იქნებოდა სახელმწიფოს მიერ 2022 წელს ნაკისრ ვალდებულებებთან, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციის პოლიტიკური დეკლარაციის ფარგლებში;[2]
7. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის მენტალური ჯანმრთელობის მხარდამჭერი პროგრამების დაბალი ეფექტიანობა;

2 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Z8v8Q1

8. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, საჯარო სერვისებზე, განათლებაზე, ფინანსებზე, ინფორმაციაზე დაბალი ხელმისაწვდომობა;

9. პროფესიული გადამზადების სახელმწიფო პროგრამების ნაკლებობა;

10. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების სიმცირე ან/და დაბალი ხელმისაწვდომობა;

11. დევნილთა დასახლებებში, გამყოფი ხაზის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის (საცხოვრებელი, სამედიცინო, საგზაო, სატრანსპორტო) გაუმართაობა.

1.2. თემატური მომხსენებლის მექანიზმის შესახებ

თემატური ანგარიში მოიცავს სიტუაციის ანალიზს, ასევე მიგნებებსა და რეკომენდაციებს, რომლებიც განიხილება საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტისა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოში. ანგარიშის მოსმენისა და კომიტეტის მიერ მისი მიღების შემდეგ, დოკუმენტი აღმასრულებელ ხელისუფლებას გადაეცემა. რეკომენდებულია თემატური ანგარიშის პრეზენტაცია და განხილვა პლენარულ სხდომაზე და მისი ფართო საზოგადოებისთვის გაცნობა.

თემატური მომხსენებლის მექანიზმი მოიცავს რამდენიმე საფეხურს, რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა და ჩატარდა შემდეგი სამუშაოები:

განისაზღვრა მომხსენებლის მიერ საკვლევი საკითხი - საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება და მომზადდა მისი აღწერილობა;

- განისაზღვრა ანგარიშის მომზადების ვადა;
- გამოთხოვილ იქნა თემატური ინფორმაციები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან, ასევე მუნიციპალიტეტებიდან;
- სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა:
  - ✔ არსებული პოლიტიკის დოკუმენტების საერთაშორისო და ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო და პრაქტიკა - გაკეთდა მათი ანალიზი;
  - ✔ საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება - იდენტიფიცირდა არსებული გამოწვევები და შესაძლებლობები, მიღებული გამოცდილება, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა მიერ გაცემული რეკომენდაციები;
  - ✔ დამუშავდა გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია.

- ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი დაინტერესებულ მხარეებთან, დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და ახალგაზრდებთან ზუგდიდსა (დაესწრო 12 ქალი) და გორში (დაესწრო 15 ქალი) გასვლითი შეხვედრის სახით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით და არასამთავრობო ორგანიზაციების - დევნილ ქალთა ასოციაცია „თანხმობისა“ და ქალთა ფონდი „სოხუმის“ ჩართულობით;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ხურჩაში, გამყოფ ხაზთან, ჩატარდა ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრა (დაესწრო 4 ქალი, 1 კაცი);
- მომზადდა ჩატარებული შეხვედრების ოქმები, თემების საჭიროებებისა და გამოწვევათა ანალიზი;
- არსებულ მტკიცებულებებზე დაფუძნებით მომზადდა მომხსენებლის ანგარიში.

1.3. მეთოდოლოგია

საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების შესწავლისათვის გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდოლოგია:

1. **სამაგიდო კვლევა** – არსებული ოფიციალური დოკუმენტების მიმოხილვა, მათ შორის: ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და მათი შეფასების ანგარიშების, სამართლებრივი აქტების, საქართველოს სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ანგარიშების, ოფიციალური კორესპონდენციისა და სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების დამუშავება;
2. **საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა** – საჯარო უწყებებიდან და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება ჯანმრთელობის დაცვის, საჯარო მომსახურებაზე, განათლებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე მოსახლეობის, მათ შორის, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;
3. **ფოკუს ჯგუფებთან საკონსულტაციო შეხვედრები** – ორი ფოკუს ჯგუფის შეხვედრა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალების საჭიროებებთან და გამოწვევებთან დაკავშირებით ზუგდიდისა და გორის მუნიციპალიტეტებში. ასევე, სამეგრელოს რეგიონის გამყოფი ხაზის სოფელ ხურჩაში. საერთო ჯამში შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო 29 ქალმა.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელების მიზნით, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იდენტიფიცირებული იქნა ძირითადი გამოწვევები, გამოიკვეთა საკვანძო მიგნებები და შემუშავდა რეკომენდაციები.

1.4. ანგარიშის სტრუქტურა

ანგარიშის სტრუქტურა მოიცავს ცხრა თავს, მათ შორის, ანოტაციას, მოკლე შეჯამებას, შესავალს, რომელშიც აღწერილია საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების ძირითადი გამოწვევები, თუ რას მოიცავს თემატური მომხსენებლის მექანიზმი და რა მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული ანგარიშის მოსამზადებლად.

ცალკე თავად არის წარმოდგენილი ზოგადად ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიმოხილვა და მისი მნიშვნელობა, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ დღის წესრიგის განხორციელება.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება საქართველოს მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შესრულების კონტექსტში. ასევე, არსებული სიტუაციის ანალიზი კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებების კუთხით და გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი.

ჩატარებული სამუშაოს შესაბამისად მომხსენებლის ანგარიშში ხაზგასმულია ძირითადი მიგნებები და ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელებისათვის. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა; მიღებული კორესპონდენცია წარმოდგენილია დანართების სახით.

2. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიმოხილვა

ომი და კონფლიქტი ყოველთვის განსხვავებულად აისახება და არაპროპორციულ გავლენას ახდენს ქალებისა და გოგოების ცხოვრებაზე; ქალთა უფლებების დაცვა და არსებითი გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს უმნიშვნელოვანესია, კონფლიქტის პრევენციის, კონფლიქტის დროს თუ მის შემდგომ პერიოდში. ასევე, ქალების მრავალფეროვანი და განსხვავებული გამოცდილების სრულად ინტეგრირება მშვიდობის მშენებლობისა და მისი შენარჩუნების ყველა ეტაპზე პრინციპულ საკითხს წარმოადგენს. კონფლიქტები აძლიერებს არსებულ გენდერულ უთანასწორობას, აყენებს რა ქალებს გენდერული ნიშნით სხვადასხვა ფორმის ძალადობის მომატებული რისკის ქვეშ. კონფლიქტთან დაკავშირებული ძალადობა ხდება ყველგან და ნებისმიერ დროს, სახლებში, პენიტენციურ დაწესებულებებში, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ბანაკებში[3].

2000 წლის 31 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო საეტაპო რეზოლუცია N1325 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე. რეზოლუციაში უშიშროების საბჭო ხაზს უსვამს გენდერული საკითხების გათვალისწინების მნიშვნელობას ყველა სახის კონფლიქტის პრევენციისა და გადაჭრის, სამშვიდობო პროცესების, მშვიდობის შენარჩუნების, რეაბილიტაციისა თუ აღდგენით პროცესებში.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 და მისი თანმდევი რეზოლუციები - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი, ეხება ომისა და კონფლიქტების გავლენას ქალებზე, ასევე ქალთა ეფექტიანი და არსებითი მონაწილეობის მნიშვნელობას კონფლიქტების გადაწყვეტაში, მშვიდობის მშენებლობაში, მშვიდობის შენარჩუნებაში, ჰუმანიტარულ რეაგირებასა და კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პროცესებში.[4]

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი გაეროს უშიშროების საბჭოს ათ რეზოლუციას აერთიანებს:

ქალთა ლიდერობა მშვიდობის მშენებლობისა და კონფლიქტების პრევენციის პროცესში

N1325 (2000 წ.)[5] ადასტურებს სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარული

3 ლობჯანიძე, თ., 2022. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული კონტექსტი, თეორიული ასპექტები და პრაქტიკული გამოცდილება, გვ. 197. IBSN 978-9941-8-4918-3

4 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 (2000) და მისი თანმდევი რეზოლუციები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Igzb5P

5 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 (2000), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IN2df3

რეაგირების დაგეგმვაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ სამშვიდობო საქმიანობასა და მმართველობაში **ქალთა მონაწილეობისა და გენდერული საკითხების ჩართვის მნიშვნელობას.**

N1889 (2009 წ.)[6] ხაზს უსვამს N1325 რეზოლუციის **განხორციელების გაუმჯობესების საჭიროებას და ინდიკატორებს ადგენს განხორციელების მონიტორინგისთვის;** მოუწოდებს გენერალურ მდივანს, უშიშროების საბჭოს წარუდგინოს ანგარიში სამშვიდობო საქმიანობაში ქალთა მონაწილეობის შესახებ.

N2493 (2019 წ.)[7] ხაზს უსვამს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის უფრო ფართოდ განხორციელების საჭიროებას.

N2122 (2013 წ.)[8] კონცენტრირებულია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შესრულების ნაკლოვანებებზე; გენდერულ თანასწორობასა და ქალთა გაძლიერებას არსებით როლს ანიჭებს საერთაშორისო მშვიდობასა და უსაფრთხოებაში; აღიარებს კონფლიქტების დროს მომხდარი დარღვევების განსხვავებულ ზემოქმედებას ქალებსა და გოგოებზე და მოუწოდებს უშიშროების საბჭოს სამუშაო პროცესში მუდმივად გაამახვილოს ყურადღება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

N2242 (2015 წ.)[9] აყალიბებს ექსპერტთა არაფორმალურ ჯგუფს; **ხაზს უსვამს აღნიშნული დღის წესრიგის განხორციელებაში არსებულ დაბრკოლებებს, მათ შორის, დაფინანსებისა და ინსტიტუციური რეფორმების კუთხით;** ყურადღებას ამახვილებს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების **დღის წესრიგის ინტეგრირების მნიშვნელობაზე ანტი-ტერორისტულ და ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლის დღის წესრიგში;** მოუწოდებს უშიშროების საბჭოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობის მეთოდების გაუმჯობესებისკენ.

N1820 (2008 წ.)[10] **სექსუალურ ძალადობას აღიარებს ომის ტაქტიკად,** საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხად, რომელიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით რეაგირების აუცილებლობას წარმოშობს.

N1888 (2009 წ.)[11] განამტკიცებს **სექსუალური ძალადობის აღმოფხვრის ძალისხმევას კონფლიქტების დროს კანონის უზენაესობისა** და სექსუალური ძალადობის საკითხებზე გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლისა და ექსპერტთა გუნდის შექმნით, ამ სფეროში ცოდნის გაზიარებითა და კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის აღმოფხვრაში მონაწილე მხარეებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების გზით.

---

6 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1889 (2009), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Eqah2v
7 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2493 (2019), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IDXhJh
8 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2122 (2013), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XE2YuY
9 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2242 (2015), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3k98LuR
10 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1820 (2008), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/417xRLh
11 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1888 (2009), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/417xTCT

N1960 (2010 წ.)[12] შეიმუშავებს კონფლიქტების დროს **სექსუალური ძალადობის შესახებ შეტყობინებისა და მონიტორინგის მექანიზმს.**

N2106 (2013 წ.)[13] კონცენტრირებულია კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის ჩამდენთა ანგარიშვალდებულებაზე; ასევე, **ყურადღებას ამახვილებს ქალთა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაძლიერებაზე.**

N2467 (2019 წ.)[14] ხაზს უსვამს სამართლიანობისა და ანგარიშვალდებულებისკენ მიმართულ ძალისხმევას და **ძალადობაგამოვლილებზე ორიენტირებული მიდგომის საჭიროებას.**

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ძირითადი მიმართულებები:

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 (2000) და მისი თანმდევი ცხრა რეზოლუცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო სამართლებრივ და პოლიტიკურ ჩარჩოს, რომელიც აღიარებს შეიარაღებული კონფლიქტების არაპროპორციულ გავლენას ქალებზე, ასევე ხაზს უსვამს ქალთა არსებით როლს მშვიდობის მშენებლობის და უსაფრთხოების პროცესებში. აღიარებს ქალთა მონაწილეობის მნიშვნელობას და გენდერული პერსპექტივის ჩართვის აუცილებლობას სამშვიდობო მოლაპარაკებებში, ჰუმანიტარულ დაგეგმარებაში, სამშვიდობო ოპერაციებში, კონფლიქტის შემდგომ მშვიდობის მშენებლობასა და მმართველობაში.

რეზოლუციები, უპირველეს ყოვლისა, ეხება მშვიდობასა და უსაფრთხოებას, მაგრამ ეფუძნება ქალთა საჭიროებებს, მათ ჩართულობასა და მონაწილეობას სამშვიდობო პროცესებში, მდგრადი მშვიდობის მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით, რაც შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი ოთხი მიმართულების სახით:

A. ქალების როლი კონფლიქტების პრევენციაში;
B. ქალების მონაწილეობა მშვიდობის მშენებლობაში;
C. ქალების უფლებების დაცვა კონფლიქტის დროს და მის შემდგომ პერიოდში;
D. ქალების სპეციფიკური საჭიროებები რეპატრიაციის, განსახლებისა და რეაბილიტაციისთვის, რეინტეგრაციისა და კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პერიოდში.

12 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1960 (2010), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XLlBMu
13 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2106 (2013), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Ei7MiU
14 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2467 (2019), ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://bit.ly/3kcmhxO

ქალების მონაწილეობა მოიცავს მათ ჩართულობას ყველა დონეზე, მათ შორის:

1. ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, ყველა ტიპის ორგანიზაციაში და საქმიანობაში;
2. პრევენციის, დაცვისა და კონფლიქტების მოგვარების მექანიზმებში;
3. სამშვიდობო მოლაპარაკებებში;
4. სამშვიდობო ოპერაციებში, როგორც უსაფრთხოების სექტორის, ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.
5. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენცია ქალთა უფლებების დაცვისა და კანონის აღსრულების ხელშეწყობით, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობასა და სექსუალურ ძალადობაზე პასუხისმგებელ პირთა დევნის/გასამართლების უზრუნველყოფით.

ქალებისა და გოგოების დაცვა გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური ძალადობისგან, მათ შორის: ომის და კონფლიქტის დროს და მის შემდგომ სიტუაციებში;

1. საგანგებო და ჰუმანიტარულ სიტუაციებში, როგორიც არის დევნილთა დასახლებები და ლტოლვილთა ბანაკები;
2. ნულოვანი ტოლერანტობა დაუსჯელობის მიმართ ქალების წინააღმდეგ ჩადენილი ომის დანაშაულების, გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩათვლით;
3. სამშვიდობო ოპერაციებში მონაწილე პერსონალისთვის გადასროლის წინ ტრენინგის ჩატარებითა და ქალებისა და გოგოების უფლებებისა და ეფექტიანი დაცვის ზომების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
4. გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება სამშვიდობო ოპერაციებსა და კონფლიქტის შემდგომ აღდგენით პროცესებში;
5. განიარაღების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის პროცესებში ქალისა და კაცის სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება;
6. ქალების მიერ თემის დონეზე ინიციატივების მხარდაჭერა, ადგილობრივ დონეზე მშვიდობის შენარჩუნების მიზნით.

ქალების მნიშვნელოვანი და ეფექტიანი მონაწილეობა სამშვიდობო და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე;

1. კონფლიქტების პრევენცია, მათ შორის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთა დასჯა;
2. ქალების დაცვა ომის, შეიარაღებული კონფლიქტებისა და მშვიდობიანობის დროს;

3. კრიზისული სიტუაციების მართვა და აღდგენითი პროცესები;
4. მონიტორინგი და შეფასება.

ეროვნული სამოქმედო გეგმა, როგორც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების ინსტრუმენტი:[15]

- ეროვნული სამოქმედო გეგმა აჩვენებს, თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებს სახელმწიფო დღის წესრიგის პრიორიტეტულ საკითხებს და გვაწვდის ინფორმაციას მისი განხორციელების შესახებ, საქმიანობების მართვის, დაფინანსების, მონიტორინგისა და შეფასების კუთხით;
- გაეროს უშიშროების საბჭომ აღიარა, რომ რეზოლუციების ეროვნულ დონეზე განხორციელება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ხელშეწყობისთვის;
- ეროვნული სამოქმედო გეგმა ხაზს უსვამს უსაფრთხოების სექტორსა და სხვადასხვა ტიპის სამშვიდობო პროცესებში ქალებისა და გოგოების ფიზიკური უსაფრთხოების, გენდერული ნიშნით ძალადობისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის მნიშვნელოვან როლს, კრიზისების დროს ქალებისა და გოგოების სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებაში;
- ეროვნული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს გადაწყვეტილების აღსრულების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, როგორც პოლიტიკის განსაზღვრაში, ასევე მის აღსრულებაში;
- ეროვნული სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს, რომ სამთავრობო პროგრამები პასუხობდეს ქალების, ახალგაზრდებისა და ბავშვების დაუყოვნებელ, სპეციფიკურ და გრძელვადიან საჭიროებებს კონფლიქტის დროსა და მის შემდგომ პერიოდში;
- ქვეყნები, სადაც ადგილი აქვს ტერიტორიების ოკუპაციას, მიმდინარე კონფლიქტებს ან/და კონფლიქტის შემდგომ პერიოდს, ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყნის შიდა პოლიტიკის გაძლიერებას. იმ ქვეყნების ეროვნული სამოქმედო გეგმები, სადაც ადგილი არ აქვს კონფლიქტებს, ორიენტირებულია საერთაშორისო მხარდაჭერაზე და კონფლიქტის მქონე ქვეყნების გაძლიერებაზე;
- გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნული სამოქმედო გეგმა აქვს 105 ქვეყანას, 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით.[16]

15 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეროვნული სამოქმედო გეგმები, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: http://1325naps.peacewomen.org/ ქართულ ენაზე: https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2023/04/kalebze-mshvidobasa-da-usaprtkhoebaze-gaeros-ushishroebis-sabchos-rezolutsiebis-gankhortsielebis-2022-2024-clebis-sakartvelos-erovnuli-samokmedo-gegma.

16 იქვე.

ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი შესრულებისთვის აუცილებელია ადგილობრივ დონეზე მისი განხორციელების ხელშეწყობა - ლოკალიზაცია.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ლოკალიზაციის პროცესს მნიშვნელოვანი სარგებელი მოაქვს. აუცილებელია სექტორული, რეგიონული და ადგილობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი ეფექტიანი განხორციელება, რაც უზრუნველყოფს:

- ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას;
- სხვადასხვა პოლიტიკისა და სფეროს მხარდაჭერას ადგილობრივ დონეზე;
- გაძლიერებულ კოორდინაციას სამთავრობო უწყებებსა და რეგიონულ/ადგილობრივ ადმინისტრაციებს შორის;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და ქალებისა და ახალგაზრდების სამიზნე ჯგუფებს შორის მჭიდრო თანამშრომლობას;
- ქალებისა და ახალგაზრდების სამიზნე ჯგუფების კონკრეტული საჭიროებების დროულ გამოვლენასა და მათზე სათანადო რეაგირებას;
- დღის წესრიგის განსახორციელებლად პოტენციური სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და პარტნიორების გამოვლენასა და შრომის განაწილებას;
- რამდენიმე სფეროსთვის პრიორიტეტის მინიჭებითა და მათზე ფოკუსირებით ადგილობრივი სამოქმედო გეგმების შემუშავებას, რათა მუშაობა უფრო ეფექტიანი გახდეს შეზღუდული რესურსების მიზნობრივი განკარგვით;
- სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა ადგილობრივი სამოქმედო გეგმების მომზადების, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების გამჭვირვალე და მონაწილეობით პროცესებში, რაც მოსახლეობის, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების ნდობის მოპოვებასა და მოლოდინების გაზრდას უზრუნველყოფს;
- მონიტორინგისა და შეფასების პროცესების ხელშეწყობას მიზნების, ამოცანების, საქმიანობებისა და მათი ინდიკატორების დასახვით, რაც გააძლიერებს და გაზრდის ანგარიშვალდებულებას და გააუმჯობესებს პრაქტიკას.

3. ნატო და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი

ჩრდილოატლანტიკური ალიანსი (ნატო) აღიარებს კონფლიქტის არაპროპორციულ გავლენას ქალებსა და გოგოებზე, ქალთა განსაკუთრებულ როლს მშვიდობასა და უსაფრთხოებაში და გენდერული პერსპექტივის ინტეგრირების მნიშვნელობას ყველა იმ მიმართულებით, რასაც ემსახურება ალიანსი. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი სათავეს იღებს 2000 წლის 31 ოქტომბრიდან, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325 რეზოლუციის მიღებით და მოიცავს ცხრა დამატებით რეზოლუციას (N1820, N1888, N1889, N1960, N2106, N2122, N2422, N2493). ნატოს მიდგომა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგთან დაკავშირებით ინტეგრაციის, ჩართულობისა და ერთიანობის პრინციპების ირგვლივ ყალიბდება.[17]

ნატო აერთიანებს გენდერულ პერსპექტივას ორგანიზაციის სამ ძირითად მიზანში (შეკავება და თავდაცვა, კრიზისების პრევენცია და მართვა და ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებით უსაფრთხოების უზრუნველყოფა), ასევე, მის პოლიტიკურ და სამხედრო სტრუქტურებში. გენდერული თანასწორობა ნატოს სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კუთხით მთავარი მიმართულებაა - განსაკუთრებით გაეროსთან, ევროკავშირთან, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან (ეუთო) და აფრიკის კავშირთან - ისევე, როგორც ფართო სამოქალაქო საზოგადოებასთან.

ნატოს სამოქალაქო საზოგადოების მრჩეველთა პანელი უზრუნველყოფს პლატფორმას ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, რათა ჩაერთონ პოლიტიკისა და პრაქტიკის ფორმირებაში. ნატოს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში წარმოადგენს მაღალი დონის საკონტაქტო პირს აღნიშნული მიმართულებით. ნატო ასევე მზად არის მხარი დაუჭიროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1820-ს, რომელიც ფოკუსირებულია კონფლიქტთან დაკავშირებულ სექსუალურ ძალადობაზე.

ნატოს პირველი პოლიტიკის დოკუმენტი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოში 2007 წელს შეიმუშავეს წევრებმა და პარტნიორებმა. 2018 წელს ნატოს სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა მხარი დაუჭირეს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განახლებულ პოლიტიკას, რომელიც მოიცავს ინტეგრაციის, ჩართულობისა და ერთიანობის პრინციპებს.

---

17 ნატო, ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, 14.10.2022, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://bit.ly/3lQFvJT

2022 წელს მადრიდის სამიტზე სახელმწიფოთა და მთავრობების მეთაურებმა განაცხადეს, რომ ისინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ და მხარს უჭერენ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს და ნატოში გენდერულ პერსპექტივას ახორციელებენ. ნატოს 2022 წლის სტრატეგიული კონცეფცია ხაზს უსვამს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ინტეგრირების ყოვლისმომცველ მნიშვნელობას ძირითადი მიზნებისა და ამოცანების ფარგლებში და აცხადებს, რომ გააგრძელებს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის და პრაქტიკის განვითარებას, რაც ორგანიზაციის პრინციპულად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს.

ნატოს მუშაობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგზე სამ ძირითად პრინციპს - ინტეგრაციას, მონაწილეობასა და კეთილსინდისიერების ამაღლებას ეყრდნობა.

ინტეგრაცია: გენდერული თანასწორობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ნატოს პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების განუყოფელი ნაწილი, რომელიც ხელმძღვანელობს გენდერული თანასწორობის ინტეგრაციის კარგი პრაქტიკით. გენდერული თანასწორობის მისაღწევად აუცილებელია იმის აღიარება, რომ ყველა პოლიტიკა, პროგრამა და პროექტი გავლენას ახდენს როგორც ქალებზე, ასევე კაცებზე. პრაქტიკაში ინტეგრაციის მაგალითებია:

- გენდერული ანალიზის ჩატარება ოპერაციებსა და მისიებში ქალებისა და კაცების განსხვავებული საჭიროებების გასათვალისწინებლად;
- ადრეული გაფრთხილების სისტემის დაგეგმარების დროს გენდერული განზომილებების შესწავლა, რათა უკეთ შეფასდეს კრიზისი და გამოვლინდეს მისი გამომწვევი მიზეზები;[18]
- თავდაცვის განვითარება ისე, რომ ითვალისწინებდეს ყველა დასაქმებული პირის, როგორც ქალების, ასევე კაცების, საჭიროებებსა და პრიორიტეტებს;
- ტერორიზმის გენდერული განზომილებების შესწავლა; იმის აღიარება, რომ ქალები არიან არა მხოლოდ მსხვერპლები, არამედ შეიძლება იყვნენ ძლიერი აქტორები, რომლებსაც შეუძლიათ ტერორისტული აქტების თავიდან აცილება და მის პრევენციაში წვლილის შეტანა, ისევე, როგორც ტერორისტულ აქტში მონაწილეობა;
- ქალთა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან მუშაობა, რათა უკეთ გავიგოთ ქალების გამოცდილება მთელ მსოფლიოში და ნატოს პოლიტიკისა და პრაქტიკის პოტენციური გავლენა სხვადასხვა თემებზე.

18 უსაფრთხო მსოფლიო, ადრეული გაფრთხილება და პასუხი ძალადობრივ კონფლიქტს; 2015 წ. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://rb.gy/64tbpx

მონაწილეობა: ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა ნატოსა და ეროვნულ ძალებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ოპერატიული ეფექტიანობის მიღწევაში. ნატო მოწოდებულია გაზარდოს ქალების მონაწილეობა ყველა მიმართულებით, მათ შორის, საერთაშორისო შტაბში ყველა დონეზე. ამ სფეროში მუშაობის მაგალითებია:

- ნატოს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურებში გენდერული ბალანსის გაუმჯობესება და მოკავშირეებისა და პარტნიორების წახალისება ამ მიმართულებით;
- გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და ენის გამოყენება ორგანიზაციის მასშტაბით;
- გენდერული ინკლუზიური პრაქტიკის მოდელირება თავდაცვის შესაძლებლობების განვითარების პროგრამებში.

კეთილსინდისიერების ამაღლება: სისტემური უთანასწორობა აღმოფხვრილია ალიანსის მასშტაბით ქალებისა და კაცების სამართლიანი და თანაბარი მოპყრობის უზრუნველყოფით. ცნობიერების ამაღლებისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების ყველა ძალისხმევაზე პასუხისმგებლობა პრიორიტეტულია საერთაშორისო ნორმების შესაბამისად. პრაქტიკაში, ეს მოიცავს:

- გარკვეული სტანდარტების დემონსტრირებისა და მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავებას, როგორიც არის ნატოს სექსუალური შევიწროებისა და ძალადობის პრევენციისა და მათზე რეაგირების პოლიტიკა, რომელიც დამტკიცდა 2019 წელს;
- პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით და გადაცდომებთან დაკავშირებით მიმართვიანობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ტრენინგების ჩატარება.

ნატოს მთავარი დოკუმენტი გენდერისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ინტეგრირების კუთხით არის დირექტივა Bi-SC 40-1. [19] ნატოს პარტნიორი ქვეყნები ჩართული არიან ბევრ ძირითად საქმიანობაში, პოლიტიკის შემუშავების თავდაცვისუნარიანობისა და თავსებადობის განვითარებისა და კრიზისების პრევენცია/მართვის მიმართულებით. ისინი (ნატოს პარტნიორი ქვეყნები) აღიარებენ, რომ უსაფრთხოების არსებული გამოწვევების აღმოფხვრა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გათვალისწინებული იქნება ქალების, კაცების, გოგოებისა და ბიჭების საჭიროებების ფართო სპექტრი. გენდერული პერსპექტივის სრულ ინტეგრაციას პარტნიორობის ფარგლებში ცენტრალური ადგილი უჭირავს, არა მხოლოდ ნატოს ღირებულებების შესანარჩუნებლად, არამედ ეფექტიანობისთვის. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის პირველი სამოქმედო გეგმა ნატომ, ამ პოლიტიკის განხორციელების მხარდასაჭერად დაამტკიცა 2010 წლის ლისაბონის სამიტზე, გაეროს უშიშროების საბჭოს N1325

19 ნატოს დირექტივა Bi-SC 40-1, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://bit.ly/3ldB2by

რეზოლუციის მიღებიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით. პოლიტიკა რამდენჯერმე განახლდა, ბოლოს 2021 წელს. განახლებები ითვალისწინებს ცვლილებებს უსაფრთხოების სფეროში, ისევე როგორც ნატოს მუდმივ განვითარებასა და გენდერული პერსპექტივის უკეთეს ინტეგრირებას ყოველდღიურ საქმიანობაში.

ნატოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა 2021 წლის ოქტომბერში, ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მიერ. სამოქმედო გეგმა მხარს უჭერს მოკავშირეების ვალდებულებას, შემდგომში გააძლიერონ გენდერული თანასწორობა ყველა სფეროში, რასაც ნატო ემსახურება, ნატოს დღის წესრიგის დადგენის შემდეგ მიღწეულ პროგრესზე დაყრდნობით. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი ყოვლისმომცველი, ამბიციური და შორსმჭვრეტელი გეგმაა, რომელიც ალიანსს უკეთ მომზადებულს გახდის დღევანდელი გამოწვევების დასაძლევად. სამოქმედო გეგმა ვრცელდება ნატოს ყველა მოკავშირეზე, რომელსაც ნატოს 25 პარტნიორი ქვეყანაც შეუერთდა.

4. საქართველო და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი

გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება (S/PRST/2005/52)[20] მოუწოდებს გაეროს წევრ ქვეყნებს „გააგრძელონ N1325 რეზოლუციის განხორციელება ეროვნული სამოქმედო გეგმებისა თუ სხვა ეროვნული სტრატეგიების საშუალებით“.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნული სამოქმედო გეგმა აქვს 105 ქვეყანას 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმეტესობას (ქვეყნების 80 პროცენტამდე) ინდივიდუალური, მთლიან ევროკავშირს ცალკე მდგომი,[21] ისე როგორც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს, არსებული სამართლებრივი ჩარჩოს მიუხედავად, დღის წესრიგის განხორციელების მხრივ პროგრესი არათანაბარია. აღნიშნულის ძირითად გამომწვევ ფაქტორს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტის არარსებობა წარმოადგენს. ასევე, მრავალი ძალისხმევის მიუხედავად, გლობალურ გამოწვევად რჩება საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნება.

20 გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება (S/PRST/2005/52 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lGru14

21 ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ევროკავშირის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: http://1325naps.peacewomen.org/wp-content/uploads/2021/08/ST_11031_2019_INIT_en.pdf_

ომები, კონფლიქტები, უსაფრთხო გარემო და არასტაბილურობა კვლავ დიდ გამოწვევას წარმოადგენს მსოფლიოს ბევრ ქვეყანისთვის. მიუხედავად ამისა, ბოლო 30 წლის განმავლობაში გლობალურად დაბალია ქალთა წარმომადგენლობა სამშვიდობო მოლაპარაკებებსა (13%) და მედიაციაში (6%), ასევე, სამშვიდობო ხელშეკრულებების ხელმომწერთა შორის (6%).[22] ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების პოლიტიკა უნდა პასუხობდეს მოსახლეობის, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებებსა და არსებულ გამოწვევებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. შესაბამისად, ეროვნული სამოქმედო გეგმების ლოკალიზაციის პროცესი უზრუნველყოფს საჭიროებებისა და გამოწვევების დროულ იდენტიფიცირებასა და გეგმების ეფექტიან განხორციელებას.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს 20% ოკუპირებულია. ქვეყანას 300,000-მდე იძულებით გადაადგილებული პირი ჰყავს, რომელთა შორის 53% ქალია. გამყოფი ხაზი არის როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულია და ყოველდღიურად ზარალდება გამყოფი ხაზის მიმდებარედ, 17 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა (მათ შორის ქალები და გოგოები), ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც საკუთარ სახლებში თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ. არსებულ გამოწვევებს ამძაფრებს კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული მრავალი პრობლემა, აქტუალურია ჯანმრთელობის დაცვისა და საჯარო სერვისებზე, განათლებაზე, ეკონომიკურ განვითარებაზე ხელმისაწვდომობა - მნიშვნელოვანია მშვიდობისა და ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელება, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

4.1. პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა (2012 – 2015 წწ.)

გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს საქართველოს მთავრობა 2011 წლიდან ახორციელებს. პირველი გეგმის შემუშავებისას მიმდინარეობდა მუშაობა დაინტერესებულ მხარეებთან ჯგუფებში და საბოლოოდ ქვეყანამ დაამტკიცა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, N1820, N1888, N1889 და N1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“.[23]

22 საგარეო ურთიერთობათა საბჭო, ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე:https://www.cfr.org/womens-participation-in-peace-processes/

23 საქართველოს პარლამენტის დადგენილება, „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, N1820, N1888, N1889 და N1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1558531?publication=0

პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგები ანგარიშების სახით წარმოდგენილი აქვს საქართველოს სახალხო დამცველს[24]. სამოქმედო გეგმის მიხედვით, სახელმწიფო უწყებებიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით სახალხო დამცველი ყურადღებას ამახვილებს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, ქალებისა და გოგოების წინაშე მდგარი რეალური პრობლემების უგულებელყოფაზე და იმ მინიმალურ ზეგავლენაზე, რასაც სამოქმედო გეგმის განხორციელება ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზე, მათ შორის სარეაბილიტაციო, სერვისებზე ხელმისაწვდომობისა თუ უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით და ამ მიმართულებით მხოლოდ საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მუშაობასთან დაკავშირებით. საუბარია გეგმის განხორციელების მნიშვნელოვან ხარვეზებზე ამოცანების შემსრულებელი სტრუქტურების განსაზღვრის კუთხით, რომელიც სცილდება გეგმის მიხედვით გაწერილ ღონისძიებებს, რაც მათ შესრულებას შეუძლებელს ხდის. სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში განმარტავს, რომ ადრესატ დაწესებულებებს დროულად უნდა მოეხდინათ ხარვეზების შეფასება და ვალდებულებების პასუხისმგებელ სტრუქტურაზე დელეგირება.

კარგი პრაქტიკის მაგალითებიდან სახალხო დამცველი ხაზს უსვამს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებულ შიდა ღონისძიებებს, გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების, სასწავლო მოდულის შემუშავებისა და სამხედრო მოსამსახურეთა გადამზადების მიმართულებით. ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანად განხორციელებისათვის მოიაზრებს ფოკუს ჯგუფების შეხვედრების შედეგების თანახმად, შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების ყველა რგოლის მონაწილეობას, ვინც უშუალოდ არის ადგილობრივ დონეზე ჩართული საქმიანობაში, რადგან ისინი უკეთ ფლობენ ინფორმაციას ქალებისა და გოგოების საჭიროებებთან დაკავშირებით. ასევე, ხაზს უსვამს სახელმწიფო რესურსების გადახედვის აუცილებლობასა და შესაბამისი ბიუჯეტის განსაზღვრას შემდგომი ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებისათვის.

პირველი გეგმის შესრულების შეფასების შედეგად, სახალხო დამცველმა გარკვეული ხარვეზები გამოკვეთა და მათ აღმოსაფხვრელად სხვადასხვა უწყების მიმართ რეკომენდაციები შეიმუშავა, რომლებიც მოიცავდა:

24 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქრთველოში, მონიტორნგის შედეგები, 2016, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Sdtx93

- ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებების შესწავლას და შესწავლის შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას;
- ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ყველა ეტაპზე დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირების უზრუნველყოფას;
- შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩართულობასა და მათ მიერ ეროვნული სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელი შესრულების ზედამხედველობას, ანგარიშგების სისტემის დახვეწას;
- ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში აქტივობების დაგეგმვას, რომლებიც გაზრდიდა ოკუპირებული რეგიონების მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ პირთა ინფორმირებულობას არსებული რისკების შესახებ და ადგილობრივად არსებული პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით;
- გეგმით ნაკისრი ვალდებულებებისა თუ ამოცანების პასუხისმგებელი ორგანოების მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში დროულ იდენტიფიცირებასა და საჭიროებისამებრ დელეგირებას სხვა შემსრულებელი ორგანოსათვის, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული გეგმის არაეფექტიანი შესრულება;
- ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამოქალაქო თავდაცვის სწავლების გადახედვასა და დახვეწას, საჭიროების შესაბამისად;
- ფსიქოლოგიური დახმარების და რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვას დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის;
- სოფლებში ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებისა და მომსახურების ხელმისაწვდომობის საკითხის მოწესრიგებას, დევნილთა დასახლებებში სტომატოლოგის მომსახურების დანერგვას, ოჯახის ექიმის რეალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- სასწრაფო დახმარების გამოძახების შემთხვევებზე დროული რეაგირების უზრუნველყოფასა და არსებული რესურსების დაგეგმვას საჭიროებების შესაბამისად;
- ქალთა სამედიცინო შემოწმების პროგრამების (სკრინინგის) დაგეგმვას ისე, რომ ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა ბენეფიციარისათვის გამოკვლევებისათვის აუცილებელი, სათანადო დროისა და ხარისხის გათვალისწინებით;
- ომისა და კონფლიქტების შედეგად დაზარალებულ პირთა რეაბილიტაციისა და დახმარების პროგრამების შემუშავებას, ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა სარეაბილიტაციო ღონისძიებებისა და ომისა და კონფლიქტის დროს მიღებული ფსიქოემოციური ტრავმების სარეაბილიტაციო მომსახურების უზრუნველყოფას;

- ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობას, გადაწყვეტილების მიღების პროცესებსა და თემის განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში;
- მოსახლეობის ჩართულობის ამაღლებისაკენ მიმართული ტრენინგებისა და კამპანიების დაგეგმვასა და განხორციელებას, ადგილობრივ დონეზე ბიუჯეტირებისა თუ ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში მონაწილეობის გზების შესახებ, რათა შესაძლებელი ყოფილიყო კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალთა ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ადგილობრივ დონეზე;
- ცნობიერების ამაღლებისა და სამოქალაქო განათლების სწავლების დაგეგმვას გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ, რათა გაზრდილიყო ქალთა მონაწილეობა და წარმომადგენლობა მმართველ პოზიციებზე;
- ტრენინგების დაგეგმვა მეთაურების, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისათვის გენდერული თანასწორობის თემასა და რეზოლუციების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების კუთხით;
- ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხის გადახედვას და გაუმჯობესებას, მართლმსაჯულების სისტემაზე ხელმისაწვდომობის ხელისშემშლელი ფაქტორების შესწავლის მიზნით.

პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების საკითხთან დაკავშირებით იმუშავა ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, რომლის მიერ მომზადებული ჩრდილოვანი ანგარიშიც 2015 წელს საქართველოში გაეროს რეზიდენტ კოორდინატორისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების თაობაზე ღია კარის დღეზე იქნა წარდგენილი.[25] ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები ადგილობრივ დონეზე დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში ქალთა ჩართულობასა და ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში ოფიციალური პირების ანგარიშვალდებულების გაძლიერებაზე.

4.2. მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა (2016 – 2017 წწ.)

მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმა კონსულტაციების საფუძველზე შემუშავდა; კონსულტაციები ჩატარდა ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ სამინისტროებთან თუ სახელმწიფო ინსტიტუტებთან და სამოქალაქო საზოგა-

25 ალტერნატიული ანგარიში საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერის საკითხების შესახებ (CEDAW) 2015წ. ხელმისაწვდომია: http://www.ginsc.net/home.php?id=616&cat=3&sub=3&mode=18&lang=ge

დოების ორგანიზაციებთან (განსაკუთრებით კი იმ ორგანიზაციებთან, რომლებიც დევნილ ან კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებს წარმოადგენენ). ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016–2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შემდეგ,[26] მთავრობამ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - „კომისია“) ჩამოაყალიბა. კომისია წარმოადგენს ანგარიშვალდებულ მექანიზმს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების კოორდინირების, მათი შესრულების დაჩქარებისა და მონიტორინგისთვის.

საქართველოს სახალხო დამცველის შეფასებით, მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით აღებული ვალდებულებები, ძირითადად, გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით შესრულდა.[27] უწყებების მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულების კუთხით დამოუკიდებლად განხორციელებული აქტივობები მინიმალური იყო; შესუსტებული იყო არასამთავრობო ორგანიზაციების როლი გეგმის შესრულების პროცესში, რაც უარყოფითად აისახა მოსახლეობის ინფორმირებულობასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე. გეგმით გათვალისწინებულმა და შესრულებულმა საქმიანობებმა, მაინც ვერ მოახერხა კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების სპეციალური საჭიროებების დაკმაყოფილება, მათი ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და ეკონომიკური გაძლიერების თვალსაზრისით. ასევე, აღინიშნა, რომ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგოებს არ ჰქონდათ ინფორმაცია საბაზისო უსაფრთხოების სტრატეგიასა და პროცედურებზე, განსაკუთრებით გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას. ადგილობრივი არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციები, საკუთარი ინიციატივით აქტიურად მუშაობდნენ სახალხო დიპლომატიის ხელშესაწყობად. იმ გეოგრაფიულ ერთეულებში, სადაც აქტიური და გაძლიერებული ქალები ცხოვრობენ, ბევრად უკეთესი მდგომარეობა იყო ჩართულობისა და პრობლემების იდენტიფიცირების კუთხით, ვიდრე დასახლებებში, სადაც ამგვარი ინიციატივები არ გვხვდება.

პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშებიდან ერთ-ერთი მთავარი რეკომენდაცია, გეგმის განხორციელება ადგილობრივ დონეზე, მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ფარგლებში მეტწილად

26 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016–2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/57174_57174_623360_rotated_339.pdf

27 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში 2017, ხელმისაწვდომია:https://www.ombudsman.ge/res/docs/2019032911591098784.pdf

გათვალისწინებულ იყო და ადგილობრივმა თვითმმართველობებმა მუნიციპალიტეტის დონეზე დაიწყეს გეგმების შემუშავება, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში ბევრი კარგი პრაქტიკის მაგალითებიც გამოიკვეთა, კერძოდ, შედარებით გაიზარდა ქალთა წარმომადგენლობა უსაფრთხოების სექტორში, დაინერგა სასწავლო პროგრამები, ჩატარდა ბევრი ტრენინგი, როგორც თავდაცვის, ასევე პოლიციის თანამშრომლებისათვის, მათ შორის, სამშვიდობო მისიებში წამსვლელი სამხედროებისთვის, ქალები შედარებით გააქტიურდნენ ადგილობრივ დონეზე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყება ახორციელებდა შეხვედრებს მოსახლეობასთან საჭიროებების კვლევის მიზნით მიუხედავად გარკვეული წინსვლისა, საქართველოს სახალხო დამცველის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშშიმთელი რიგი რეკომენდაციები იყო ასახული სხვადასხვა უწყების მიმართ, რომელიც მოიცავდა:[28]

- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის წარმომადგენელი უწყებების მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას ქალებისა და გოგოების საჭიროებებთან დაკავშირებულ თემატიკაზე, დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებთან;
- თვითმართველობის როლისა და შესაძლებლობების გაზრდას რეგულარული ფორმატის შეხვედრებით სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, მათი საჭიროებებისა და პრობლემების გამოსავლენად და მათზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით; სახელმწიფო უწყებების მიერ ჩატარებულ შეხვედრებზე ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვას; დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ქალების მონაწილეობას სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში და მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას; ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე მორგებული საქმიანობების დაგეგმასა და შესრულებას;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენდერის მრჩევლის პოზიციაზე მყოფი პირებისთვის სააღრიცხვო სპეციალობის კოდის მინიჭებას; მათი მოვალეობებისა და სამუშაო აღწერილობის განსაზღვრას; ქალისა და კაცის სამხედრო ფორმების ასევე, აღჭურვილობის გადახედვასა და შეცვლას მათი ფიზიოლოგიური მდგომარეობის შესაბამისად, რათა ორივე სქესის წარმომადგენლებს თანაბრად მიცემოდათ სავალდებულო ნორმატივების ჩაბარების შესაძლებლობა; სამინისტროს თანამშრომლებისათვის ოჯახში ძალადობის თემატიკაზე ტრენინგების ორგანიზებას;

28 იქვე.

- საქართველოს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინიციატივო ჯგუფების მონაწილეობის უზრუნველყოფას მათ მიერ ქალებისა და გოგოების სპეციფიკურ საჭიროებებზე ინფორმაციის მისაწოდებლად; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიის ფორმატში, დღის წესრიგში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების სპეციფიკური საჭიროებებისა და პრობლემების შეტანას, მათ შორის გადაადგილების თავისუფლების, ოჯახში ძალადობის მიმართულებით; დევნილი მოსახლეობის მონაწილეობის უზრუნველყოფას კონფლიქტის პრევენციისა და მოგვარების პროცესში;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამყოფი ხაზის სოფლებში დასაქმებული პოლიციელების გადამზადებას „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების“, ასევე, ოჯახში ძალადობის თემატიკაზე და ამ რეგიონებში დასაქმებული სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენელთა გენდერულად სეგრეგირებული მონაცემების წარმოებას;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ უწყების თანამშრომლებისთვის ტრენინგების ორგანიზებას მოლაპარაკებების უნარების ამაღლების მიზნით; ასევე, შეხვედრების უზრუნველყოფას კონფლიქტის მოგვარების გზების თემატიკაზე სხვადასხვა, ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის გასაზიარებლად;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარებას დევნილი, იძულებით გადაადგილებული და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალების ეკონომიკურად გასაძლიერებლად, მათთვის გასაგები ტერმინოლოგიის გამოყენებით; კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების სპეციფიკურ საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე მორგებული სამეწარმეო და სოფლის მეურნეობის წახალისების პროგრამების შემუშავებას;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის სპეციფიკური ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისა და რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამების შემუშავებასა და კვალიფიციური ფსიქოლოგის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას, რომელთა მიზანიც სახელმწიფო პროგრამების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა;
- იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ რეგულარული ხასიათის გასვლითი კონსულტაციების გამართვას რეგიონში და საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას მოსახლეობისთვის, თავიანთი უფლებებისა და სახელმწიფოს ვალდებულებების

შესახებ; დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები გოგოებისა და ქალებისთვის, ასევე, მათი ოჯახის წევრებისათვის რეგულარული იურიდიული კონსულტაციების გაწევას;

- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე, ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული კამპანიების ჩატარებას;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საინფორმაციო პოლიტიკის მიზნებისათვის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის და მისი თანმდევი რეზოლუციების მნიშვნელობის გაანალიზებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული, სატელევიზიო და რადიო გადაცემებში შესაბამისი თემატიკის გაშუქებას.
- „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებელი მონიტორინგის შედეგად გამოქვეყნებულ ანგარიშში ვეცნობით:29
- მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივი შეფასებით 2016–2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის 71.88% შესრულებული იყო, ხარისხობრივ ანალიზზე დაყრდნობით გეგმის განხორციელება სათანადოდ არ აისახა ომისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული, დევნილი ქალებისა და გოგოების საჭიროებებზე;
- 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი იმპლემენტაციის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად დარჩა ეროვნული სამოქმედო გეგმის ბიუჯეტირება. შესაბამისად, უწყებების კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრული ამოცანების და საქმიანობის შესრულება, ძირითადად, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, ასევე, სხვა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელშეწყობამ განაპირობა;
- 2016-2017 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების ერთ-ერთ ძირითად გამოწვევას ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზება წარმოადგენდა. გაწეული კონსულტაციებისა და წარდგენილი რეკომენდაციების მიუხედავად, ვერ მოხერხდა პროცესის დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის მონაწილეობა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში.

---

29 ქალთა საინფორმაციო ცენტრი, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებელი მონიტორინგი, 2017 წლის ნოემბერი, ხელმისაწვდომია: http://www.ginsc.net/uploads/docs/MONITORING_BOOK_2017_dec_fine_preview.pdf

- იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო სექტორისა და სახალხო დამცველის მიერ 2015 წელს განხორციელებული ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის რეკომენდაციები წარედგინა მთავრობას და მთავრობამ თავად გამოთქვა დიდი ინტერესი რეკომენდაციების მიმართ, უნდა აღინიშნოს, რომ მეორე ეტაპზე სამოქმედო გეგმაში სახალხო დამცველის რეკომენდაციები მხოლოდ ნაწილობრივ აისახა.

4.3. მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმა (2018 – 2020 წწ.)

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2018 წლის 10 აპრილს საქართველოს მთავრობის N173 დადგენილებით დამტკიცდა.[30]

მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის მიერ, გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით შემუშავდა, ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებთან, დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საკითხებზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან კონსულტაციების საფუძველზე. ეროვნული სამოქმედო გეგმა გლობალური დღის წესრიგის შესრულებისთვის საჭირო, კონსოლიდირებული და კოორდინირებული ქმედების სახელმწიფო ინსტრუმენტს წარმოადგენდა, რომელიც საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმასთან და მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის ამოცანებთან იყო შესაბამისობაში. ეროვნული სამოქმედო გეგმა უსაფრთხოების სექტორსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში გენდერული საკითხების ჩართვასთან დაკავშირებით მთავრობის ერთიან მიდგომას წარმოადგენდა. აღნიშნული მიდგომა სამშვიდობო მოლაპარაკებებში გენდერული პერსპექტივის გამოყენებას, ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვას, კონფლიქტების პრევენციასა თუ მოგვარებაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობას მოიცავდა.

მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულება საქართველოს სახალხო დამცველმა, დევნილებთან და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და ახალგაზრდებთან მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობამ“ და ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ და დამოუკიდებელმა ექსპერტებმა შეაფასეს. შეფასებებში აისახა რეკომენდაციები მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის ტექნიკურ ფორმატთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს მთავრობის და-

30 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Z4wQ4F

დგენილება N629-ის[31] (პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის დამტკიცების შესახებ) მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებას სფეროების შესაბამისად განიხილავს და აღნიშნავს, რომ ქალთა მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორსა და სამშვიდობო მოლაპარაკებებში გამოირჩეოდა პროექტების სიმცირით, არ იკვეთება თუ რა ზეგავლენა ჰქონდა ამ პროექტებს დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებზე, რაც წარმოუდგენელს ხდის შედეგებისა და მიზნობრიობის შეფასებას.[32] ასევე, მოლაპარაკებების პროცესში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საჭიროებების, პრიორიტეტებისა და რეკომენდაციების განხილვის მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველისთვის უცნობი იყო, გაითვალისწინეს თუ არა რეკომენდაციები და გადაიდგა თუ არა კონკრეტული ნაბიჯები დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

ლოკალიზაციის პროცესში ჩართული მუნიციპალიტეტების ცოდნა და მზაობა სხვადასხვა აქტივობის მიმართულებით დადებითად შეფასდა, თუმცა, როგორც სახალხო დამცველი განმარტავს, ადგილობრივ დონეზე კონკრეტული ღონისძიებები და აქტივობები კვლავ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელეს. პრობლემური აღმოჩნდა ინფორმირებულობა მოსახლეობაში გენდერული თანასწორობის საბჭოებისა და მათი ფუნქციის შესახებ. განსაკუთრებით კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების საჭიროებები არავის შეუსწავლია და არც ქმედითი ნაბიჯები გადაუდგამს.

უსაფრთხოებისა და რისკების პრევენციის კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველი ხაზს უსვამს ინფრასტრუქტურულ, მათ შორის, ტრანსპორტზე, ინტერნეტზე, წყალზე და ელექტროენერგიაზე წვდომის პრობლემებს. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის თქმით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლებაზე არავის უზრუნია, ისინი თავად ფლობდნენ ინფორმაციას, თუ რომელ ტერიტორიაზე იყო მათთვის უსაფრთხო გადაადგილება, შეძლებისდაგვარად თავად არიდებდნენ თავს უკანონო დაკავებების შემთხვევებს, რაც ბოლო წლების განმავლობაში, მათი თქმით, საკმაოდ შემცირებული იყო.

---

31 საქართველოს მთავრობის დადგენილება N629, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/download/4747283/0/ge/pdf

32 საქართველოს სახალხო დამცველი - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021092011060915681.pdf

ანგარიშიდან ვეცნობით, რომ გენდერული ნიშნით ძალადობის კუთხით, უწყებების მხრიდან ძალადობის თემატიკაზე ჩატარებულმა საინფორმაციო შეხვედრებმა მოსახლეობაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სერვისების შესახებ, ცნობიერება აამაღლა, თუმცა კვლავ ვლინდებოდა სტერეოტიპული შეხედულებები ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით, რაც, თავისთავად, სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის სიმცირესთან იყო დაკავშირებული. სახალხო დამცველი დადებითად აფასებდა რიგ მუნიციპალიტეტებში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ღონისძიებების გატარებას, თუმცა გარკვეულ მუნიციპალიტეტებში ამგვარი სერვისების არარსებობას, მიმართვიანობის სიმცირეს უკავშირებდა.

გენდერული თანასწორობის, დისკრიმინაციის, სექსუალური შევიწროების/ძალადობისა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებზე უსაფრთხოების სექტორში დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლებას, ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირებას, გადასროლის წინა მომზადებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში გენდერის მრჩევლების ჩართვას დადებითად აფასებდა საქართველოს სახალხო დამცველი.

ასევე, უნდა აღინიშნოს სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრების მნიშვნელობა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის. სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, თუმცა, როგორც სახალხო დამცველი განმარტავს სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებულობა, დევნილ ქალებსა და გოგოებში კვლავ დაბალი იყო.

სახალხო დამცველმა დადებითად შეაფასა მუნიციპალიტეტების მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამების არსებობა, რომლებიც მიმართული იყო მარტოხელა და მრავალშვილიანი მშობლებისკენ, და გულისხმობდა როგორც ფინანსური, ისე საკვებისა და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარებას, თუმცა აქაც ადგილი ჰქონდა ინფორმირებულობის დაბალ დონეს საზოგადოებაში, რაც, თავისთავად, ამცირებდა მოსახლეობისთვის სხვადასხვა პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობას.

ფსიქოლოგიური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე ხელმისაწვდომასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციის მიუხედავად, ეს საკითხი კვლად დიდ პრობლემად რჩება. დადებითად ფასდება შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფო რეფერალური პროგრამით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები პირებისთვის უფასო სამედიცინო მომსახურება.

დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების განათლების მიღების ხელშეწყობის კუთხით საქართველოს სახალხო დამცველი დადებითად აფასებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების საკითხების ინტეგრირებას. ასევე, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პრაქტიკას.

ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერების მონიტორინგის შედეგად, სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ უწყებებმა არაერთი ტრენინგი ჩაატარეს. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან შეხვედრებზე, კვლავ პრობლემად დასახელდა ტრენინგზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც უკავშირდება მიწისა და ფინანსების არარსებობას. ამასთანავე, პრობლემური იყო კურსებითა და პროფესიული გადამზადების დაწესებულებით სარგებლობა, რადგან სასწავლებლები ძირითადად განლაგებულია დიდ ქალაქებში, რაც ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობასა და სხვა დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასებისას საქართველოს სახალხო დამცველი განმარტავს კორონავირუსის პანდემიის გავლენას დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და გოგოებზე, რაც გამოიხატებოდა უმუშევართა მაჩვენებლის ზრდასა და ქალებისთვის საოჯახო საქმეებზე გაწეული აუნაზღაურებელი შრომის ტვირთის კიდევ უფრო დამძიმებაში, საჯარო სერვისებზე, განათლებაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის საქართველოს სახალხო დამცველის დამოუკიდებელი მონიტორინგის ანგარიშიდან ვეცნობით შემდეგ რეკომენდაციებს:[33]

- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ:
  - ✔ სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ჩართულობით, ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის დროული შემუშავება;
  - ✔ ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, კორონავირუსით გამოწვეული საფრთხეებისა და ქალთა წინაშე არსებული საჭიროებების გათვალისწინება;
  - ✔ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების შესრულების შესაფასებლად ინდიკატორების შემუშავება; ლოკალიზაციის მიმართულებით

33 საქართველოს სახალხო დამცველი, ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021092011060915681.pdf

პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის მუნიციპალიტეტებთან აქტიური თანამშრომლობა;

- ✔ სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების რეაბილიტაციის სპეციალური, ამ სამიზნე ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული კონცეფციის დროული დამტკიცება.

- ➤ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემის შექმნა გენდერულად თანასწორი საკადრო პოლიტიკის განხორციელების მიზნით; უწყებაში ხელმძღვანელ პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.
- ➤ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშეს პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის ხელშესაწყობად ქმედითი საქმიანობების დაგეგმვა.
- ➤ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ქალების, მათ შორის, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობის უზრუნველყოფა სამშვიდობო მოლაპარაკებების ყველა დონეზე; მოლაპარაკებების პროცესში დასახელებული საკითხების შესრულების სტატისტიკის წარმოება.
- ➤ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების დროული დანერგვა.
- ➤ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ:
  - ✔ უწყებაში გენდერული თანასწორობის მიმართულებით მომუშავე საკონტაქტო პირის გამოყოფა, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პრიორიტეტული მიმართულებების შემუშავების მიზნით;
  - ✔ უწყების მიერ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ბარიერების შესწავლა და ქმედითი საქმიანობების განხორციელება მათ აღმოსაფხვრელად;
  - ✔ პროფილური ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის შემუშავება კონფლიქტით დაზარალებული გოგოებისა და ქალების საჭიროებების გათვალისწინებით;
  - ✔ არსებულ ამბულატორიებში ინფრასტრუქტურული და ადამიანური რესურსების საჭიროებების შეფასება;
  - ✔ დევნილი და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალებისა და გოგოებისათვის, საჭიროებისამებრ, ფსიქოლოგის მომსახურების უზრუნველყოფა.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლების ინკლუზიური მეთოდების უზრუნველყოფა და ქალებისა და გოგოების ციფრულ ტექნოლოგიებზე წვდომისა და მათი უნარ-ჩვევების გასაძლიერებლად ქმედითი საქმიანობების განხორციელება.
- საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ქალებისა და გოგოების სპორტულ ცხოვრებაში უფრო მეტად ჩასართავად სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება.
- ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ დაგეგმილ შეხვედრებსა თუ სოფლის კრებებზე, სოფლად მცხოვრები ქალებისა და ახალგაზრდების დასწრების მიზნით, მათთვის ინფორმაციის რეგულარული მიწოდება; ასევე, რეგულარული კომუნიკაციის უზრუნველყოფა ეროვნული სამოქმედო გეგმის განმახორციელებელ უწყებებთან.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების „ქალთა საინფორმაციო ცენტრის“, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობისა“ და ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების კუთხით წარმოდგენილი იქნა შემდეგი მიგნებები:

- 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სამოქმედო გეგმაში გაწერილი საქმიანობები, ხშირ შემთხვევაში, პოზიტიურად არ აისახებოდა სამიზნე ჯგუფების ცხოვრებასა და მდგომარეობაზე. სამოქმედო გეგმაში გაწერილი საქმიანობები და განსაზღვრული ინდიკატორები ხშირად არ იძლეოდა შედეგებისა და სამიზნე ჯგუფებზე ზეგავლენის ჯეროვნად შეფასების შესაძლებლობას;
- სახელმწიფო უწყებების მხრიდან სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებული საქმიანობები ხშირ შემთხვევაში არასისტემური იყო. ნეგატიური პოლიტიკური და სხვა კრიზისები (კორონავირუსის პანდემია) პირდაპირ უარყოფითად ზემოქმედებდა სამოქმედო გეგმის თანმიმდევრულ განხორციელებაზე;
- სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები სახელმწიფოს მხრიდან, ძირითადად, განხორციელებული იყო საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერით და არა დამოუკიდებლად, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს ბიუჯეტის გამოყოფის აუცილებლობაზე სამოქმედო გეგმის ეფექტიანად შესრულებისთვის;
- მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უწყებებს გარკვეული კომუნიკაცია ჰქონდათ სამოქალაქო სექტორთან და კონსულტაციებს აწარმოებდნენ დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან/გოგოებთან, 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით შესრულებულმა საქმიანობებმა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების/გოგოების ჩართულობითაც ვერ უზრუნველყო მათი და მათი ოჯახების კეთილდღეობის არსებითად პოზიტიური ცვლილება;
- იმის მიუხედავად, რომ სამოქმედო გეგმაში პარტნიორ უწყებებს შორის იყვნენ მუნიციპალიტეტები, პასუხისმგებელი უწყებები სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების კუთხით თითქმის არ თანამშრომლობდნენ მათთან.

მუნიციპალიტეტების ნაწილი ღონისძიებებს თავად ახორციელებდა გაეროს უშიშროების საბჭოს N1325-ე რეზოლუციის ლოკალიზაციის ფარგლებში, სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებისა და ლოკალიზაციის პროცესის ხელშეწყობის აუცილებლობას მომდევნო წლების სამოქმედო გეგმაში.

მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასების საფუძველზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობამ“ და ქალთა ფონდმა „სოხუმმა“ დეტალური რეკომენდაციები შეიმუშავეს თითოეული უწყებისათვის მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის საქმიანობების ეფექტიანად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით.

დამოუკიდებელი ექსპერტების ნინო სარიშვილისა და მაია ავალიანის ანგარიშის შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზისა და სახელმწიფო უწყებებთან კონსულტაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან, სახალხო დამცველის აპარატთან, დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან შეხვედრების საფუძველზე, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ ახალი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გასათვალისწინებელი რეკომენდაციები მოიცავდა:

1. ეროვნული სამოქმედო გეგმის უფრო მდგრადი სახით განხორციელების მიზნით, მთავრობის მიერ ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფას თავისი პოლიტიკური ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის დემონსტრირებისთვის, შესაბამისად მომავალ გეგმას უნდა ჰქონოდა საკუთარი ბიუჯეტი;
2. ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესის უზრუნველყოფას გეგმის ეფექტიანი და მდგრადი განხორციელებისათვის მიზნობრივი მუნიციპალიტეტების მნიშვნელოვან ჩართულობას ადგილობრივ დონეზე შედეგზე ორიენტირებული საქმიანობების შესრულების, ხარვეზების აღმოფხვრისა და ეროვნული სამოქმედო გეგმების ზეგავლენის გაძლიერების მიზნით;
3. მსოფლიოს წინაშე მდგარი გამოწვევების გათვალისწინებით, ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ადგილი უნდა დათმობოდა კოვიდ 19-ის პანდემიით გამოწვეული კრიზისის მართვას, ან/და ზოგადად კრიზისული სიტუაციების მართვას. დუბლირების თავიდან ასაცილებლად, თითოეული უწყების პასუხისმგებლობის მკაფიოდ გამიჯვნას. ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო კოორდინაცია უწყებებს შორის. ყველა აქტივობაში უნდა განსაზღვრული და უზრუნველყოფილი ყოფილიყო გენდერული პერსპექტივა და ქალებისა და გოგოების განსაკუთრებული საჭიროებები, ასევე სხვა სპეციფიკური ჯგუფების საჭიროებები, როგორებიც არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგოები, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის

წარმომადგენლები, ლგბტი+ თემი და სხვა. აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და აღნიშნული ჯგუფების ინფორმირებულ და ეფექტიან მონაწილეობას, გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესებში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე.

4. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე მომდევნო ეროვნული სამოქმედო გეგმაში გასათვალისწინებელ საკითხებს, მათ შორის:

- სტრატეგიული დაგეგმვისა და განხორციელების პროცესებში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების, პრიორიტეტებისა და გენდერული პერსპექტივების უზრუნველყოფას;
- მშვიდობის შენარჩუნებისთვის, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისათვის ქალებისა და ახალგაზრდების ეფექტიან მონაწილეობას კონფლიქტის მოგვარებაში, სამშვიდობო პროცესებში, მშვიდობის დამკვიდრებაში, არჩევნებში, უსაფრთხოების სექტორის რეფორმასა და პოლიტიკურ პროცესებში;
- ეროვნულ სამოქმედო გეგმებში მოწოდებას ქალთა გაზრდილი მონაწილეობისთვის გადაწყვეტილების მიმღებ ყველა (მათ შორის, ეროვნულ და ადგილობრივ) დონეზე; ასევე კონფლიქტის პრევენციის, მართვისა და მოგვარების მექანიზმებში; სამშვიდობო მოლაპარაკებებში; სამშვიდობო ოპერაციებში როგორც ქალი სამხედრო მოსამსახურეების, პოლიციელების, ასევე სამოქალაქო პირების. ქალების გაძლიერებას საცხოვრებელსა და საარსებო წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით, ასევე მათი ეფექტიანი მონაწილეობის განმტკიცებას გარემოს დაცვის საკითხების მართვაში;
- ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ ქალების სამშვიდობო პროცესების ყველა რგოლში ჩართვის უზრუნველყოფას - მედიაციით, მოლაპარაკებებითა და სამშვიდობო შეთანხმებების საშუალებით;
- ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობას საფრთხის იდენტიფიცირებისა და ადრეული გაფრთხილების მექანიზმის ყველა პროცესში, კონფლიქტების პრევენციისა და ადრეული რეაგირების ეფექტიანად განხორციელებისათვის;
- მართლმსაჯულებაზე ქალების გაზრდილ ხელმისაწვდომობას;
- გენდერულ თანასწორობას, ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და ქალთა უფლებების დაცვას მდგრადი განვითარებისა და კონფლიქტის პრევენციისთვის;
- დაცვის მიზნით განხორციელებული საქმიანობების მიერ ადამიანის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ქალების წარმოჩენას არა მსხვერპლის როლში, არამედ უშუალო პროცესის მონაწილეებად;

- ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ქოლგის ქვეშ თითოეული ადამიანის სხეულებრივი ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველყოფას, ისევე როგორც მათი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებთან ერთად.

მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების საფუძველზე, ექსპერტების ანგარიშის რეკომენდაციების ნაწილი მოიცავს სამოქმედო გეგმის შემუშავებისას შემდეგი ტექნიკური საკითხების გათვალისწინებას:

- სამოქმედო გეგმის ჩარჩოს შემუშავებას საქართველოს მთავრობის დადგენილება N629-ის შესაბამისად;
- ინდიკატორების შემუშავებას არა მხოლოდ მიზნებისა და ამოცანებისთვის, არამედ აქტივობებისათვის, საბაზისო და რეალისტური სამიზნე მაჩვენებლებით;
- გეგმაში მოცემული აქტივობებისა და ამოცანების შინაარსობრივ დიფერენციაციას. აქტივობის შემუშავებისას პასუხის გაცემას კითხვაზე „როგორ“ (ანუ, როგორ და რა ფორმით უნდა განხორციელდეს მოცემული ამოცანა);
- ყველა აქტივობისთვის ბოლო ვადის (წლიური და კვარტალური) განსაზღვრას;
- დაფინანსების წყაროების განსაზღვრას;
- ამოცანების განხორციელების ხელის შემშლელი რისკების განსაზღვრას;
- მონიტორინგისა და შეფასების ვადებისა და სიხშირის განსაზღვრას;
- უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში, კრიტერიუმების საფუძველზე, გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სიხშირის განსაზღვრას;
- სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ინკლუზიური მიდგომის უზრუნველყოფას, ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობასა და დისკუსიების გამართვას საჯარო კონსულტაციების სახით.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ ასევე მოამზადა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის **ლოკალიზაციის პროცესის მონიტორინგის ანგარიში,** სადაც განხილულია ათი სამიზნე მუნიციპალიტეტის მიერ გატარებული სამუშაოების შედეგები.[34] წარმოგიდგენთ ამ ანგარიშის მიგნებებს, რაც მოიცავს:

- ადგილობრივ დონეზე დღის წესრიგის განხორციელების პოზიტიურ პრაქტიკას, აღინიშნა, რომ ეს პროცესი მუნიციპალიტეტებში უფრო აქტიურად მიმდინარეობს, ვიდრე ცენტრალურ დონეზე. ეს ფაქტი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ლოკალიზაციის პროცესის დაწყებისა და გაგრძელების მნიშვნელობას;

34 ქალთა საინფორმაციო ცენტრი, - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესის მონიტორინგის ანგარიში, 2021 წ. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Emi0ii

- მიუხედავად არსებული კარგი პრაქტიკებისა, ლოკალიზაციის პროცესში ჩართული პირების გამოწვევას შესრულებული საქმიანობისა და წარმატებული შემთხვევების იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების კუთხით, რაც ხელს უშლის კარგი პრაქტიკების გავრცობასა და ხილვადობას;
- ლოკალიზაციის განხორციელების პროცესში მუნიციპალიტეტების მუშაობის გამოცდილებისა და საქმიანობების განსხვავებულ შედეგებს, სადაც რიგ მუნიციპალიტეტებში კარგი მაგალითები არ უკავშირდება მუნიციპალიტეტში არსებულ ინსტიტუციურ მექანიზმებს - გუს რეზოლუცია N1325 სამუშაო ჯგუფის ცალკე ფუნქციონირებას თუ გენდერული თანასწორობის საბჭოს, როგორც გუს რეზოლუცია N1325-ის განმახორციელებელ უწყებას;
- მიუხედავად პოზიტიური ტენდენციისა, მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული ინტერვენციების არასაკმარისად და არათანაბრად ასახვას იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებზე/გოგოებზე და მათ ოჯახებზე. გამოწვევების, რომლებიც დღეს უდგათ იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ პირებს, განსაკუთრებით ქალებს და გოგოებს, არასათანადო შესწავლასა და გათვალისწინებას სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმარების პროცესში. ინტერვენციების სპონტანურად და არათანმიმდევრულად განხორციელებას, სადაც არ არის განსაზღვრული ბიუჯეტი და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ეფუძნება ქალების/გოგოებისა და მათი ოჯახების საჭიროებებს;
- ლოკალიზაციის პროცესის ეფექტიანობასა და კარგი პრაქტიკების მეტწილად დამოკიდებულებას მუნიციპალიტეტის მხრიდან პროცესში ჩართული ერთეული მოტივირებული ადამიანების საქმიანობაზე, რაც არ წარმოადგენს მთლიანად მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეების პრიორიტეტულ საკითხს. მიგნებები ხაზს უსვამს წარმატებული საქმიანობის განმაპირობებელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც მოიცავს სამოქალაქო სექტორის, იძულებით გადაადგილებული და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ინფორმირებასა და სრულფასოვან ჩართულობას;
- ნაკლებად ეფექტიანი, ეროვნული სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების განსახორციელებლად, კონკრეტული აქტივობების შესაბამისი პასუხისმგებელი უწყებებისა და მუნიციპალიტეტების თანამშრომლობის პრაქტიკას, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მუნიციპალიტეტს შორის კოორდინაციის მექანიზმის სისუსტეს, რასაც სამოქმედო გეგმით აღებული ვალდებულებების შესრულებისას, მუნიციპალიტეტისა და შემსრულებელი უწყების (აღმასრულებელი ხელისუფლებიდან) თანამშრომლობით, 8 ამოცანიდან მხოლოდ 3-ის განხორციელება განაპირობებს.[35]

35 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, 2018, ამოცანები - 2.1.2; 5.1.8; 6.1.2. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YLzEEe

4.4. მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა (2022 – 2024 წწ.)

4.4.1 ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა[36] დამტკიცდა 2022 წლის 26 ოქტომბერს.

შემუშავების პროცესი მიმდინარეობდა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოსა და პრემიერ-მინისტრის მრჩევლის ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში კოორდინაციითა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის ტექნიკური მხარდაჭერით.

სამუშაო პროცესი 2021 წლის აპრილის თვეში დაიწყო და რამდენიმე ეტაპად წარიმართა. პროცესში ჩართული იყვნენ დარგობრივი სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სახელმწიფო უწყებები, სამიზნე მუნიციპალიტეტები (მცხეთის, დუშეთის, ქარელის, გორის, კასპის, ხაშურის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, წყალტუბოს, ქუთაისის, ხონის, საჩხერის, ზუგდიდის, წალენჯიხის, სენაკის, მესტიისა და ონის მუნიციპალიტეტები), ადგილობრივი არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი, ექსპერტები, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები და ახალგაზრდები (70 ქალი, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდან) და სხვა დაინტერესებული პირები.

ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით, ცალკეული შეხვედრების შედეგად გამოკვეთილ საჭიროებებსა და გამოწვევებზე დაყრდნობით შემუშავდა გეგმის სამუშაო ვერსია, რომლის განხილვაც 2021 წლის 31 აგვისტოდან - 7 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა, ონლაინ ფორმატში, ზემოთ მითითებული სხვადასხვა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელთა ჩართულობით და სახელმწიფო უწყებებთან დაგზავნის მიზნით, 2021 წლის 30 სექტემბერს დოკუმენტი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს გადაეცა.

სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია, უკუკავშირის მიღების მიზნით, გაზიარდა სახელმწიფო უწყებებში, არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამასთან, დოკუმენტის საჯარო კონსულტაციებში აქტიურად იყვნენ ჩართული დევნილი და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქალები და ახალგაზრდები. რიგი შენიშვნები და მოსაზრებები თემატურად აისახა საბოლოო დოკუმენტში.

36 ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5598617?publication=0

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში გათვალისწინებული იქნა სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ გამოთქმული ინიციატივები პროცესის გამჭვირვალობისა და ყველა მხარის ჩართულობასთან, ლოკალიზაციის პროცესის გაძლიერებასთან, გეგმის საკუთარი ბიუჯეტის გამოყოფასთან, გეგმის ჩარჩოს საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მოყვანასთან დაკავშირებით (საქმიანობების შესრულების შედეგის ინდიკატორების, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლების, დაფინანსების წყაროს მითითება), რომელიც წინა გეგმების შეფასებებში, მიგნებებსა და რეკომენდაციებში იკვეთება.

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი, წინა გეგმების შემუშავების პროცესთან შედარებით, მაქსიმალურად მონაწილეობითი იყო.

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან, მათ შორის:

- მე-5 მიზანი: გენდერული თანასწორობა;
- მე-10 მიზანი: შემცირებული უთანასწორობა;
- მე-16 მიზანი: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

მეოთხე ეროვნულ სამოქმედო გეგმას განსახორციელებლად თავისი ბიუჯეტი აქვს გამოყოფილი 27 680 907 ლარის ოდენობით. მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტები ოცამდე აქტივობაში პარტნიორ უწყებებად არიან წარმოდგენილი. მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩარჩო - მიზნები, ამოცანები, აქტივობები, მათი გავლენისა და შედეგის ინდიკატორები, რისკები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები, დადასტურების წყარო, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები, განხორციელების ვადები და დაფინანსების წყარო - თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მთავრობის დადგენილება N629-ის მოთხოვნებთან.

4.4.2 ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული საკითხების ანალიზი

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა მოქმედების სამ სფეროს აერთიანებს. პირველი სფერო „ქალთა მონაწილეობა მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში“ მოიცავს ერთ მიზანს „მშვიდობისა და უსაფრთხოების გაძლიერების პროცესებში ქალთა (მათ შორის, გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე), წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ამაღლებასა“ და ოთხ ამოცანას.

ამოცანა 1.1. „ქალთა კარიერული ზრდის პოლიტიკის განვითარების“ ფარგლებში, მიზნობრივი უწყებების, მათ შორის უსაფრთხოების სექტორის წარმომადგენლებისათვის შესასრულებლად გათვალისწინებულია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება, იმ უწყებებში სადაც უკვე დამკვიდრებულია აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკა, რეკომენდებულია მათი განახლება, უწყების მიზნებსა და გამოწვევებზე დაყრდნობით. უწყებებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებისა და ქალებისა და კაცების რეკრუტირების, კარიერული განვითარებისა და შენარჩუნების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება ან/და საჭიროებისამებრ განახლება; სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, მათ შორის უსაფრთხოების სექტორისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების კარიერული განვითარების პროგრამებში (ტრენინგები, გაცვლითი ვიზიტები და სხვა) მონაწილეთა სეგრეგირებული მონაცემების წარმოება; მნიშვნელოვანია ქალების მომზადება სამხედრო ატაშეობისთვის, რადგან მსგავსი პრეცედენტი საქართველოს ისტორიაში ჯერ არ დაფიქსირებულა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის ეს საკითხი კვლავ გამოწვევად რჩება.

ამოცანა 1.2. „სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობისა და ეფექტიანი მონაწილეობის ზრდის“ კუთხით გათვალისწინებულია მხოლოდ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში გენდერულად დაბალანსებული მონაწილეების განსაზღვრა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგზე, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საკითხებზე ტრენინგების ჩატარება სსიპ ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და კვლევით ინსტიტუტში. ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში გენდერულად დაბალანსებული მონაწილეების განსაზღვრა.

ამოცანა 1.3. „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და ახალგაზრდების განვითარებისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა მათი საჭიროებებისა და პრიორიტეტების შესაბამისი პოლიტიკის შემუშავების/განახლების/განხორციელების პროცესში ინტეგრაციის გზით“ მოიცავს:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ შერიგებისა და ჩართულობის პოლიტიკის სტრატეგიული გადახედვის პროცესში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან დიალოგს, წელიწადში არანაკლებ ერთი შეხვედრის ჩატარებას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან

და ახალგაზრდებთან, მათი საჭიროებების იდენტიფიცირების, შესწავლისა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებით სამთავრობო კომისიაზე განხილვის მიზნით;

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ „დეოკუპაციისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისთვის საქართველოს სახელმწიფო სტრატეგიის“ შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილ სამთავრობო კომისიის მუშაობის ფარგლებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან წელიწადში არანაკლებ ერთი შეხვედრის ჩატარებას;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დევნილთა განსახლებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიების სამოქმედო გეგმების მომზადების პროცესში, დევნილ ქალებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრის ჩატარებასა და მათ მიერ წამოყენებულ პრიორიტეტულ საკითხთა გათვალისწინებას საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სტრატეგიის სამოქმედო გეგმაში.

ამოცანა 1.4. „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალების საჭიროებების, პრიორიტეტების და რეკომენდაციების სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესში გათვალისწინების უზრუნველყოფა და მშვიდობის მშენებლობის პროცესში მათი მონაწილეობის გაზრდის ხელშეწყობა“ მოიცავს:

- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების, მათი უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა შორის წელიწადში არანაკლებ ორი შეხვედრის ჩატარებას;
- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (იპრმ) მონაწილეების საინფორმაციო შეხვედრების ჩატარებას ქალთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ქალთა უფლებადამცველებთან, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებსა და ახალგაზრდებთან წელიწადში მინიმუმ ერთხელ; წელიწადში მინიმუმ ორი შეხვედრის ჩატარებას სახალხო დიპლომატიის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ასევე, „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება - მშვიდობის მშენებლობის პროცესში ქალთა ეფექტიანი მონაწილეობის გაძლიერების საკითხებზე საკონსულტაციო პლატფორმის“ ფარგლებში, ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან.

მეორე სფეროს - „ძალადობის აღმოფხვრის, პრევენციის“ მიზანია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის დევნილ, ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ) „ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის (მათ შორის სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული რისკების) აღმოფხვრისა და პრევენციის ხელშეწყობა“, რომელიც აერთიანებს ორ ამოცანას.

ამოცანა 2.1. „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების ცნობიერების ამაღლება ძალადობისა და „ადამიანის უსაფრთხოების“ საკითხებზე მოიცავს:

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ წლის განმავლობაში არანაკლებ ოთხი შეხვედრის ჩატარებას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან, გოგოებთან და მათი ოჯახის წევრებთან, შემდეგ საკითხებზე: სექსუალური ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა; სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის /ძალადობაგამოვლილთათვის არსებული სახელმწიფო სერვისების, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამები.
- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წელიწადში არანაკლებ ორი საინფორმაციო შეხვედრის ჩატარებას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ასევე, საქართველოს მასშტაბით, რეგიონების შესაბამისად მცხოვრებ დევნილებთან და დევნილთა დასახლებებში შემდეგ თემებზე: 1. კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობა და გენდერული ნიშნით ძალადობა, 2. საკუთრებისა და მეწარმეობის სამართლებრივი საკითხები.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სამინისტროს მიერ საჭიროებათა კვლევის ანგარიშის მომზადებას გეოგრაფიული დაფარვის მითითებით, დევნილი ქალებისა და გოგოების გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხებზე ცნობიერების შესახებ.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, სამოქალაქო განათლების/მოქალაქეობის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების ინტეგრირებას.

ამოცანა 2.2. „კონფლიქტისა და მის შემდგომ სიტუაციებში სექსუალური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირებაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის პერსონალის შესაძლებლობების გაზრდა“ მოიცავს:

- უსაფრთხოების სექტორის უწყებების მიერ მოდულების განახლებასა და დანერგვას და თანამშრომლების გადამზადებას შემდეგ საკითხებში: ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ;
- სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირებას გადასროლის წინა/შემდგომი მომზადებისა და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროგრამაში;
- უსაფრთხოების სექტორის უწყებების მიერ სექსუალური ძალადობის, გენდერული ნიშნით ძალადობის, სექსუალური შევიწროების ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვას ან/და გაუმჯობესებას;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ქალებისა და გოგოებისთვის პოლიციისა და სპეციალური ქვედანაყოფების წარმომადგენლებთან წელიწადში ორი შეხვედრის ჩატარებას;
- საქართველოს გენერალური პროკურატურის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის თანამშრომლების, მათ შორის, იურისტების გადამზადებას ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საკითხებში.

მესამე სფერო „ქალთა გაძლიერება და დაცვა“ მიზნად ისახავს „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის, დევნილი და ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების საჯარო სერვისებზე მისაწვდომობის გაზრდასა და სოციალურ-ეკონომიკურ გაძლიერებას“, რომელიც ასევე აერთიანებს ორ ამოცანას.

ამოცანა 3.1. „კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ (მათ შორის, დევნილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოებისთვის ჯანმრთელობის, იურიდიულ და სამოქალაქო სერვისებზე წვდომის უზრუნველყოფა“ მოიცავს:

- გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ ლოკალიზაციის პროცესის გაუმჯობესების მიზნით სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთსა და შიდა ქართლის რეგიონებში კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტისათვის წელიწადში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარებას მუნიციპალიტეტების ჩართულობით;

- სსიპ იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ წელიწადში არანაკლებ 25 უფასო საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარებას საქართველოს მასშტაბით, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში „მობილური იუსტიციის სახლის“ პროექტის განხორციელებას;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში სამედიცინო ამბულატორიების მოწყობას/აღჭურვას, სამედიცინო პერსონალითა და პირველადი სამედიცინო საშუალებების უზრუნველყოფით;
- დევნილთა დასახლებებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში პანდემიის შესახებ ცნობადობის ამაღლების მიზნით, სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის განთავსებას ვებგვერდზე;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის, საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდებას სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

ამოცანა 3.2. „კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის დევნილი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები) ქალებისა და გოგოების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, კულტურულ, სპორტულ და სამეწარმეო პროგრამებში ჩართულობის გაზრდა“ მოიცავს:

- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული დევნილი ქალებისა და ახალგაზრდების ტრანსპორტირების ხარჯის დაფარვას;
- დაბრუნებული დევნილი მიგრანტი ქალების დაფინანსებას შემოსავლის წყაროს გაჩენის, დასაქმებისა და თვითდასაქმების მიზნით;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ააიპ პროფესიული უნარების სააგენტოსთან ერთად კონფლიქტის შედეგად დაზარალებული (მათ შორის, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები, დევნილი) ქალებისა და ახალგაზრდებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობას;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დევნილი, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსებას;

- შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისთვის მცირე ბიზნეს-პროექტების დაფინანსებას სამშვიდობო ინიციატივის „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ ფარგლებში მოქმედი ფინანსური მექანიზმებით;
- ტექნიკურ სფეროებში უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისათვის ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებასა და გადამზადებას;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით წელიწადში მინიმუმ ორი საინფორმაციო/საკონსულტაციო შეხვედრის ჩატარებას;
- გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის საკითხების პოპულარიზაციის, მათ შორის კლიმატის ცვლილებების შერბილებასთან დაკავშირებით, წელიწადში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარებას დევნილთა დასახლებებში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობით;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ აწარმოე საქართველოში-ს მიერ მიკრო გრანტების ფარგლებში, სამეწარმეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში გადამზადების მიზნით დევნილი ქალებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარებასა და 100 დევნილი ქალის გადამზადებას;
- საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისთვის, მათ შორის კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდებისთვის და/ან მათი მონაწილეობით, წელიწადში მინიმუმ ორი აქტივობის ჩატარებას მიზნობრივი სპორტული ღონისძიებებისა და კულტურის/შემოქმედებითი პროექტების მიმართულებით.

5. არსებული სიტუაციის ანალიზი

5.1. კონფლიქტების შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებების ანალიზი

თემატური მოხსენების მომზადების ფარგლებში ჩატარდა ორი ფოკუს ჯგუფი დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და ახალგაზრდებთან ზუგდიდსა და გორში (იხილეთ დანართი N1 - ფოკუს ჯგუფების ოქმები) და ადგილობრივ მოსახლეობასთან გამყოფ ხაზთან, სოფელ ხურჩაში.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებების ანალიზისთვის თემის ირგვლივ არსებული რიგი კვლევები და შეფასებები იქნა გაანალიზებული. მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ქალთა საინფორმაციო ცენტრის, იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობისა“ და ქალთა ფონდი „სოხუმის“ ერთობლივი 2022 წლის კვლევა „საქართველოში კონფლიქტით დაზარალებული თემების საჭიროებების შეფასება გენდერულ ჭრილში - ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის გამყოფ ხაზთან და დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის მდგომარეობა და მისი გენდერული განზომილებები“, საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე“,[37] ასევე იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიშები „სამიზნე თემების საჭიროებათა და მედეგობის სწრაფი შეფასების ანალიზი“,[38] „ქალები P2P გზაზე: მიღწევები და გამოწვევები მშვიდობის მშენებლობაში“,[39] „ქალების თვალით“;[40] ქალთა ფონდი „სოხუმის“ დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში,[41] „ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები და მათი ინტეგრირების მნიშვნელობა ადგილობრივ პოლიტიკაში“[42] და „გამყოფი ზოლის

37 საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე, 2022, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022122312304281594.pdf

38 იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიში სამიზნე თემების საჭიროებათა და მედეგობის სწრაფი შეფასების ანალიზი, 2021, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lM6ZQK

39 იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიში ქალები P2P გზაზე: მიღწევები და გამოწვევები მშვიდობის მშენებლობაში, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://bit.ly/3Sh1shq

40 იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიში ქალების თვალით ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Z2CLal

41 ქალთა ფონდი „სოხუმი“ - დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.fsokhumi.ge/images/2021/10/1/USAID-ge.pdf

42 ქალთა ფონდი „სოხუმი“ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები და მათი ინტეგრირების მნიშვნელობა ადგილობრივ პოლიტიკაში, ხელმისაწვდომია: https://www.fsokhumi.ge/images/2021/07/2/ktk-kvleva-2021.pdf

მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის სასწავლო გრანტის დაუსაბუთებელმა და გაუფრთხილებელმა მოხსნამ საფრთხე შეუქმნა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე“[43] ცალკეული ანგარიშები.

განხილული კვლევის, სხვადასხვა ანგარიშებისა და ჩატარებული შეხვედრების საფუძველზე დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების, მათ შორის ქალებისა და ახალგაზრდების მრავალი საჭიროება იქნა გამოვლენილი, რომელსაც წარმოგიდგენთ თემატურად:

1. ქალებისა და ახალგაზრდების ეფექტიანი ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე:

- ქალთა წარმომადგენლობის, თანასწორი და ეფექტიანი მონაწილეობის გაზრდა სამშვიდობო მოლაპარაკებებში;
- ქალთა მონაწილეობის გაზრდა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე;
- ქალებისა და გოგოების უფლებებისა და გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება სამშვიდობო მოლაპარაკებების, კონფლიქტის შემდგომ პერიოდში და შესაბამისი მექანიზმების დანერგვა ამასთან დაკავშირებით; მოსახლეობის სისტემატური ინფორმირებულობა;
- ძალადობრივ ექსტრემიზმზე ცნობიერების ამაღლება და ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა რადიკალიზმის პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხებში;
- სამშვიდობო განათლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდებისათვის ერთობლივი ბანაკების მოწყობა;
- ქალთა ფორუმების ინტენსივობისა და სისტემურობის უზრუნველყოფა.

2. ქალებისა და ახალგაზრდების ეფექტიანი ჩართულობა მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე:

- ქალებისა და ახალგაზრდების ინფორმირებულობის გაზრდა;
- ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების ზუსტი და დროული იდენტიფიცირება მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისათვის;
- დევნილთა და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებების მქონე ჯგუფების წარმომადგენელთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

43 ქალთა ფონდი „სოხუმი“ - გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის სასწავლო გრანტის დაუსაბუთებელმა და გაუფრთხილებელმა მოხსნამ საფრთხე შეუქმნა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე, ხელმისაწვდომია: https://www.fsokhumi.ge/images/2021/06/12/grantebi-ge.pdf

3. „ადამიანის უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებული საჭიროებები:

- გამყოფი ხაზის სოფლებში გზებისა და ქუჩების გარე განათებისა და ვიდეოკამერების არარსებობა, „ბორდერიზაცია“ და დაუცველობის შიში;
- მოსახლეობის უკანონო გატაცება/დაკავებების პრობლემა და მასთან დაკავშირებული ცნობიერების ამაღლება მოსახლეობაში;
- მდინარე „ენგურით“ გადმოსული მოსახლეობის სიცოცხლის უსაფრთხოება;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, დევნილთა დასახლებებში პოლიციის განყოფილებების ნაკლებობა ან/და არარსებობა;
- საპატრულო ეკიპაჟების ნაკლებობა და შესაბამისად ნაკლები პატრულირება;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით მუნიციპალიტეტიდან და პოლიციის მხრიდან მოსახლეობის ინფორმირებულობა;
- კონფლიქტის, კრიზისული სიტუაციების, კიბერუსაფრთხოებისა და კატასტროფების შესახებ ადრეული გაფრთხილებისა და რეაგირების სისტემის არარსებობა;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზრდა და მიმართვიანობისგან თავის შეკავება;
- ნაადრევი ქორწინების შემთხვევების მომატება პანდემიის შემდგომ პერიოდში.

4. ქალებისა და გოგოების ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებები:

- რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, სამედიცინო პერსონალთან და დამცავ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა;
- მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობა - აფთიაქის არარსებობა სოფლებში;
- სკრინინგის პროგრამებზე ხელმისაწვდომობა;
- ამბულატორიის არარსებობა ან/და არასრულყოფილი ფუნქციონირება სოფლებში;
- კვალიფიციური სამედიცინო პერსონალის, მათ შორის დარგობრივი სამედიცინო პერსონალის (პედიატრი, გინეკოლოგი, ქირურგი) ნაკლებობა ან/და არარსებობა სოფლებში;
- კოვიდ 19-ის თავდაცვის ჰიგიენურ და ანტისეპტიკურ საშუალებებზე ხელმისაწვდომობა;
- სასწრაფო სამედიცინო დახმარების მიღების შეზღუდული შესაძლებლობა;
- ლაბორატორიულ კვლევებთან / მომსახურებასთან ხელმისაწვდომობა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამების არარსებობა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;
- ყოფილი მეომრებისა და მათი ოჯახის წევრების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით სარეაბილიტაციო და ინტეგრაციის პროგრამებით უზრუნველყოფა;
- ფსიქოლოგისა და სამედიცინო პერსონალის დამატება სკოლებში.

5. ინფრასტრუქტურის კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- სოფლებში ასფალტირებული გზების ნაკლებობა;
- გზებისა და ქუჩების გარე განათების პრობლემა;
- სატრანსპორტო გაჩერებების კეთილმოუწყობლობა;
- ამბულატორიის შენობის არარსებობა სოფლებში;
- საბავშვო ბაღის შენობის გაუმართაობა ან/და არარსებობა;
- სკოლის შენობის გაუმართაობა ან/და არარსებობა;
- სპორტული მოედნის გაუმართაობა ან/და არარსებობა;
- ბიბლიოთეკების შენობის ან/და მომსახურების ცენტრების არარსებობა;
- ბავშვთა მოედნების მოწყობა;
- გარე ტრენაჟორების მოედნების მოწყობა;
- სასმელი წყლით მომარაგების პრობლემა;
- საირიგაციო სისტემების მოწყობა და წყლით მომარაგების პრობლემა;
- წყალარინების სისტემების გაუმართაობა - განსაკუთრებით დევნილთა დასახლებებში;
- სანიაღვრე სისტემების ნაკლებობა ან/და არარსებობა;
- დევნილთა დასახლებების საცხოვრებელი კორპუსების გაუმართაობა;
- დევნილთა საცხოვრებელი ფართების ნაკლებობა;
- ელექტრო ენერგიის ხარვეზებით მიღება;
- ბუნებრივი აირით უზრუნველყოფა;
- ფიჭური კავშირისა და ინტერნეტის ხარვეზებით ფუნქციონირება.

6. საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- ჯანდაცვის სისტემის სერვისებზე ინფორმაციის ნაკლებობა და ხელმისაწვდომობა;
- რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა;
- ზრუნვის სერვისებზე (საბავშვო ბაღი, მოხუცთა თავშესაფარი, გენდერული ნიშნით ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარი) ხელმისაწვდომობა;
- საბანკო სისტემის სერვისებზე ხელმისაწვდომობა - ბანკომატების არარსებობა, ჩასარიცხი აპარატების ნაკლებობა ან/და არარსებობა; მცირე სამეწარმეო სესხებით უზრუნველყოფა; სტუდენტური სესხებით უზრუნველყოფა; საბანკო მომსახურების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (მაგალითად: შეღავათიანი სესხი, საგრანტო პროგრამები).

- სოციალური დახმარების სხვადასხვა პროგრამის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;
- ომის შედეგად დაზიანებული სახლების აღდგენასთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების მიღების საკითხი;
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა/ძალადობაგამოვლილთა მხარდაჭერის პროგრამებზე და სერვისებზე, მათ შორის ფსიქოლოგიურ დახმარებაზე, ხელმისაწვდომობა;
- იურიდიული კონსულტაციის მიღების ხელმისაწვდომობა;
- საჯარო რეესტრის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა;
- მიწის რეგისტრაციაზე ხელმისაწვდომობა;
- საგრანტო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა.

7. განათლების მიღებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ახალგაზრდების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსების საკითხი:
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლების სწორი იდენტიფიცირება;
- იდენტიფიცირებული სოფლების რაოდენობის გაზრდა;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის სკოლაში მოსწავლის სწავლების მინიმალური პერიოდის განსაზღვრა 5 წლით;
- გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლიდან სხვა სოფელში დაოჯახებული ქალის სწავლის ღირებულების ანაზღაურების უწყვეტობა (სხვა სოფელში დაოჯახებულ ქალს ეზღუდება სწავლის ანაზღაურების შესაძლებლობა).
- მუნიციპალიტეტების მხრიდან ჩართულობა სწავლის საფასურის ანაზღაურების კრიტერიუმების, მსურველთა განაცხადის ფორმისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით.
- სკოლების, პედაგოგების ნაკლებობა ან/და არარსებობა;
- ონლაინ სწავლების გამოწვევები: ინტერნეტთან წვდომა, კავშირის უწყვეტობა; ტექნიკური საშუალებების ნაკლებობა ოჯახებში - მობილურის, კომპიუტერის; ელექტროენერგიის უქონლობა; მოსწავლეების დაბალი მოტივაცია სწავლის პროცესში.
- პროფესიული განვითარების სასწავლებლების/კურსების უზრუნველყოფა ქალებისა და ახალგაზრდების გაძლიერებისა და საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობის კუთხით;
- საბავშვო ბაღების არარსებობის გამო ქალებს ეზღუდებათ განათლების მიღებისა და ანაზღაურებად სამსახურში დასაქმების შესაძლებლობა.

8. შემეცნებითი, სპორტული და კულტურული აქტივობის კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- სპორტული დაწესებულებების გაუმართაობა ან/და არარსებობა;
- სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა;
- ახალგაზრდების შეხვედრებისთვის სივრცეების არარსებობა;
- კულტურული და გასართობი დაწესებულებების ნაკლებობა ან/და არარსებობა - ბიბლიოთეკა, კინო, თეატრი და სხვ.;
- ბავშვებისთვის ცეკვის, ხატვის, უცხო ენების, ინფორმატიკისა თუ სხვა წრეებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა.

9. ეკონომიკური გაძლიერების კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- პროფესიული გადამზადება, სწავლისა და ტრანსპორტირების დაფინანსება;
- მეწარმედ რეგისტრაციის ხელშეწყობა;
- ქალებზე მიწების რეგისტრაციის საკითხი;
- მეწარმეობასთან დაკავშირებული პროგრამებისა და გრანტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება (როგორც სახელმწიფო ასევე, არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების მიერ შეთავაზებული პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება);
- დასაქმების ფორუმის არარსებობა;
- ინფრასტრუქტურულ და სხვა სახელმწიფო პროექტებში ადგილობრივების დასაქმების ხელშეწყობა.
- თვითდასაქმების საკითხი - გრანტებზე, საბანკო კრედიტსა და გარანტიაზე ხელმისაწვდომობა.

10. სოფლის მეურნეობის კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- მიწაზე ხელმისაწვდომობა;
- მიწის რეგისტრაცია;
- სასოფლო-სამეურნეო მაღაზიების არარსებობა;
- სასოფლო-სამეურნეო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა;
- მავნებლებთან (მწერებთან და მღრღნელებთან) ბრძოლის საშუალებებზე ხელმისაწვდომობა;
- განადგურებული მოსავლის კომპენსაცია;
- ვეტერინარების ნაკლებობა ან/და არარსებობა;
- ვეტერინარული აფთიაქების არარსებობა;
- ვეტერინარული მაღაზიების არარსებობა;
- მოყვანილი პროდუქციის რეალიზაციის პრობლემები (მაცივრების არქონა, საშრობის/ჩირის აპარატების არქონა, მოსავლის გაფუჭების შემთხვევები).

11. ტრანსპორტირების კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- სოფლებში მახლობელ ქალაქებთან დამაკავშირებელი ტრანსპორტის არასაკმარისი რაოდენობა ან/და არარსებობა;
- ტრანსპორტის გაუმართაობა;
- ტრანსპორტში კონდიცირებისა და გათბობის სისტემის არარსებობა;
- კერძო ტრანსპორტის (სამარშრუტო ტაქსების) გაძვირება;
- ტვირთის გადატანის შეზღუდვა არსებული ტრანსპორტის საშუალებით;
- კერძო ტრანსპორტის ინდივიდუალური გრაფიკი;
- არაადეკვატურად შედგენილი მარშრუტი საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის.

12. დასუფთავების კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- ნარჩენების შეგროვების პრობლემა;
- ურნების ნაკლებობა;
- ნარჩენების დროული გატანის პრობლემა;
- გზებისა და ქუჩების დასუფთავების პრობლემა.

13. უპატრონო ძაღლების კუთხით გამოვლენილი საჭიროებები:

- უპატრონო, აუცრელი ძაღლების სიმრავლე;
- ცხოველთა თავშესაფრების ნაკლებობა ან/და არარსებობა;
- მოსახლეობის მხრიდან ემპათიის არქონა;
- ვეტერინარის ნაკლებობა ან/და არარსებობა;
- სტერილიზაციაზე ხელმისაწვდომობა.

5.2. გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზი

მომხსენებლის ანგარიშის ფარგლებში, სახელმწიფო უწყებებიდან განახლებული მონაცემების გამოთხოვნის მიზნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს ეთხოვა შუამდგომლობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, თავდაცვის სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურთან, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსთან, საქართველოს დაზვერვის სამსახურთან, იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამსახურთან შემდეგ საკითხებზე:

1. უწყებაში დასაქმებულ პირთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების პროცენტული მაჩვენებლების;
2. უწყებაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა (მაგალითად: განყოფილების უფროსის, სამმართველოს უფროსის მოადგილის, სამმართველოს უფროსის, სამსახურის უფროსის მოადგილის, სამსახურის უფროსის, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, ადმინისტრაციის უფროსის, დეპარტამენტის უფროსის მოადგილის, დეპარტამენტის უფროსის, მინისტრის მოადგილის, მინისტრის) დონეზე დასაქმებულთა სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების პროცენტული მაჩვენებლების წარმოდგენაზე.

საქართველოს სახელმწიფო უწყებებიდან შემოსული წერილების თანახმად დამუშავებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი N1-ის სახით:

ცხრილი N1.

	სახელმწიფო უწყების დასახელება	უწყებაში დასაქმებული პირი		უწყებაში გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე დასაქმებული პირი	
		ქალი	კაცი	ქალი	კაცი
1	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	38.60%	61.40%	50%	50%
2	ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატი	52.40%	47.60%	50%	50%
3	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	18.17%	81.83%	6.24%	93.76%
4	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	19.42%	80.58%	-	-

5	საქართველოს დაზვერვის სამსახური	32%	68%	19%	81%
6	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური სამსახური	37%	63%	20%	80%
7	სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსა-ხური	13.14%	86.86%	6.80%	93.20%

ცხრილი N2

ინფორმაცია 2022 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დასაქმებულთა, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებლის შესახებ, გენდერულ ჭრილში		
N	საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისი	
1	ქალი - 50%	კაცი - 50%
	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე - 38% ქალი	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე - 62% კაცი
საქართველოს თავდაცვის ძალები (სამხედრო მოსამსახურეები)		
2	ქალი სამხედრო მოსამსახურე - 7%	კაცი სამხედრო მოსამსახურე - 93%
	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე - 1.5% ქალი სამხედრო მოსამსახურე	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე - 98.5% კაცი სამხედრო მოსამსახურე
საქართველოს თავდაცვის ძალები (სამოქალაქო პირები)		
3	ქალი - 37.2%	კაცი - 62.8%
	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე - 22.4% ქალი	გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე - 77.6% კაცი

საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშის მომზადების ფარგლებში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეთხოვა განახლებული ინფორმაციის მოწოდება მიზნობრივი მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ერთეულებში (მცხეთა, დუშეთი, ქარელი, გორი, კასპი, ხაშური, თეთრიწყარო, გარდაბანი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, საჩხერე, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, მესტია და ონი) არსებული სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებებისა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის თაობაზე, შემდეგ საკითხებზე:

1. აღნიშნულ მუნიციპალურ ერთეულებში ფუნქციონირებადი სამედიცინო ამბულატორიების რაოდენობა, ადგილმდებარეობის მითითებით;
2. აღნიშნულ მუნიციპალურ ერთეულებში ფუნქციონირებად სამედიცინო ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების სამუშაო დატვირთვა/განრიგი და მათი სამედიცინო პროფილი;
3. გინეკოლოგიური მომსახურების მიღების შესაძლებლობა აღნიშნული მუნიციპალური ერთეულების სამედიცინო ამბულატორიებში, ადგილმდებარეობის მითითებით;
4. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აღნიშნული მუნიციპალური ერთეულების სამედიცინო ამბულატორიებში, ადგილმდებარეობის მითითებით;
5. ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა აღნიშნული მუნიციპალური ერთეულების სამედიცინო ამბულატორიებში, ადგილმდებარეობის მითითებით.

მუნიციპალიტეტებიდან შემოსული კორესპონდენციის შესაბამისად, ამბულატორიების დიდი ნაწილი უკვე გადაეცა ან გადაცემის პროცესშია ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის მმართველობაში, სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში. შემოსული წერილების თანახმად, ექიმთა განაწილების ცხრილებიდან იკვეთა, რომ ხშირ შემთხვევაში ერთ ოჯახის ექიმს რამდენიმე სოფლის მომსახურება უწევს, შესაბამისად სოფლის ბევრ მაცხოვრებელს, კარგ შემთხვევაში კვირაში ერთხელ თუ ექნება ექიმის კონსულტაციის მიღების საშუალება. აღნიშნული მუნიციპალიტეტების მოსახლეობას რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე, გინეკოლოგიურ მომსახურებასა და ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა უმეტესად მხოლოდ საქართველოს დიდ ქალაქებში აქვთ.

გორის მუნიციპალიტეტი - ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება-გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი. ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 ამბულატორია, დასაქმებული ექიმების ძირითადი პროფილი - ოჯახის ექიმია; გინეკოლოგიური მომსახურების მიღება შესაძლებელია ნიქოზის და ტყვიავის ამბულატორიებში; რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ ნიქოზის და ტყვიავის ამბულატორიებში; ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების საშუალება ამბულატორიებში არ არის.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი - 32 სოფელს აქვს ამბულატორია. ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების სამუშაო დატვირთვის/განრიგის და მათი სამედიცინო პროფილის, ასევე ამ ამბულატორიებში გინეკოლოგიური მომსახურების, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღების და ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობის შესახებ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში არ მოიპოვება ინფორმაცია, ვინაიდან კანონმდებლობის შესაბამისად „სოფლის ექიმის“ მომსახურების განმახორციელებლად განსაზღვრულია ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი.

მესტიის მუნიციპალიტეტი - ამ ეტაპზე რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის, გინეკოლოგიური მომსახურებისა და ფსიქიატრის კონსულტაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მესტიის მუნიციპალიტეტის ამბულატორიულ გაერთიანებაში. სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მართვა ასევე გადაცემული აქვს ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს“.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი - ადმინისტრაციულ ერთეულებში სულ ფუნქციონირებს 21 ამბულატორია, ესენია: კალინინო-1, ქესალო-1, ნაზარლო-1, ვახტანგისი-1, ჯანდარა-1, ლემშვანიერა (ნაგები)-1-1, თელეთი-1, კრწანისი-1, ნაზარლო-1, ნორიო-1, მარტყოფი-1 (ვაზიანი-2) (სააკაძე-1), ახალსოფელი-1 (საცხენისი-1) (მუხროვანი-1), ყარათაკლია-აღთაკლია-1, ახალი სამგორი-1, გამარჯვება-1 (გამარჯვება 1 - 1 ოთახი). გარდაბნის მუნიციპალიტეტის ერთეულებში ფუნქციონირებად სამედიცინო ამბულატორიებში დასაქმებულია ჯამში: 48 ექიმი და 42 ექთანი. მათი სამუშაო დატვირთვა/განრიგი ითვალისწინებს 10:00-17:00 საათებში მომსახურების გაწევას. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მარტყოფის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ სამედიცინო ამბულატორიაში მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ გინეკოლოგიური მომსახურებით (კვირაში ერთი დღე). რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება გარდაბნის მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ამბულატორიაშია შესაძლებელი. ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ ამბულატორიებში ამ ეტაპზე არ არის შესაძლებელი.

სენაკის მუნიციპალიტეტი - ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 19 სამედიცინო ამბულატორია, სადაც მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებები. ამ ეტაპისათვის ზემოაღნიშნული სამედიცინო დაწესებულებების მართვას უზრუნველყოფს ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი. 16 სოფელში არის ამბულატორია, ექიმი მუშაობს „სოფლის ექიმის“ პროგრამით, სადაც სავარაუდოდ შესაძლებელია თერაპიული მომსახურების მიღება. თავად სენაკში ფუნქციონირებს საავადმყოფო (როგორც ზრდასრულთა, ასევე ბავშვთა) და პოლიკლინიკების გაერთიანება.

კასპის მუნიციპალიტეტი - ტერიტორიულ ერთეულებში ფუნქციონირებს 17 საექიმო ამბულატორია (ამ ჩვიდმეტი ამბულატორიიდან ერთი რამდენიმე სოფელს ემსახურება). ყოველ მათგანში მუშაობს ორი ოჯახის ექიმი, რომელთა მუშაობის გრაფიკია 10 სთ-დან 16 სთ-მდე. ამბულატორიაში ვიწრო სპეციალისტები არ არიან. პაციენტების გადამისამართება ვიწრო სპეციალისტებთან (მეან-გინეკოლოგი, ნევროლოგი, ფსიქიატრი და ა.შ.) ხდება ოჯახის ექიმის მიმართვის საფუძველზე.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი - აფხაზეთიდან დევნილებს ჯვარის ამბულატორიის და ჯვარის პოლიკლინიკის გარდა სხვა ამბულატორიებს გინეკოლოგიური მომსახურების მიღების შესაძლებლობა არა აქვთ. უმეტესწილად დანარჩენ სოფლებში შესაძლებელია მხოლოდ თერაპიული სამედიცინო მომსახურების მიღება. რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა არცერთ ამბულატორიას არ გააჩნია.

ხაშურის მუნიციპალიტეტი - 19 სოფელში არის თერაპიული სამედიცინო მომსახურების მიღების საშუალება. არც ერთ სოფელში არ არის არც გინეკოლოგიური და არც ფსიქიატრიული მომსახურების მიღების საშუალება. (დატვირთვის საათები მითითებული არ არის).

ხონის მუნიციპალიტეტი - 15 სოფელში არის მხოლოდ ოჯახის ექიმი (დატვირთვის საათები მითითებული არ არის). ხონის ცენტრალურ ამბულატორიაში არის გინეკოლოგიური მომსახურების მიღების საშუალება, ასევე არის ნევროლოგი, მაგრამ რეპროდუქტოლოგი და ფსიქიატრი არც ცენტრალურ ამბულატორიაში არ არის.

ონის მუნიციპალიტეტი - დღეის მდგომარეობით ონის საავადმყოფო წარმოდგენილია როგორც მრავალპროფილური კლინიკა, სადაც შესაძლებელია ამბულატორიული, რენტგენოლოგიური, ექოსკოპიური და სტაციონარული სერვისების მიღება. კლინიკა აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით. შპს „ონის რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში“ 63 თანამშრომელია დასაქმებულია, მათ შორის: 20 ექიმი, 23 მედდა, 9 სანიტარი და 11 ადმინისტრაციული და ტექნიკური დამხმარე პერსონალი. გინეკოლოგიური მომსახურების და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ქალაქ ონში, „ონის რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში“. აღნიშნულ სამედიცინო დაწესებულებაში ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა არ არის. ონის მუნიციპალიტეტში 19 ადმინისტრაციული ერთეულია, აქედან 14 ადმინისტრაციულ ერთეულში ფუნქციონირებს სამედიცინო ამბულატორია. სადაც ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის“ დაქვემდებარებაში მყოფი „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 12 ექიმი და 23 მედდა არის დასაქმებული. დასაქმებულთა სამუშაო განრიგი განსაზღვრულია კვირაში ხუთი დღე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა 4 საათი. ონის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სსიპ “საგანგებო სიტუაციების კოორდინაციებისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის 2 ბრიგადა ემსახურება.

დუშეთის მუნიციპალიტეტი - „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ - „სოფლის ექიმის“ კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების განმახორციელებლად 2022 წლის 1 მარტიდან ა(ა) იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“ განისაზღვრა. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ფართში 11 ამბულატორია ფუნქციონირებს.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - გინეკოლოგიური მომსახურების მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ თეთრიწყაროში მდებარე შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრში“, რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ ყველა ამბულატორიაში, ხოლო ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ამბულატორიებში არ არის.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - სამედიცინო ამბულატორიებში დასაქმებული პერსონალის სამსახურებრივი დატვირთვა განისაზღვრება ხუთი სამუშაო დღით, რვა საათიანი სამუშაო განრიგით. მათი სამედიცინო პროფილი განისაზღვრება ოჯახის ექიმისა და ოჯახის ექთნის საშტატო ნუსხით. გინეკოლოგიური მომსახურების მიღების შესაძლებლობა მოსახლეობას აქვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს „გეგუთის პოლიკლინიკაში“. რაც შეეხება რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციისა და ფსიქიატრის კონსულტაციის მიღების შესაძლებლობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებულ ამბულატორიებში არ არის.

სამიზნე მუნიციპალიტეტებს (მცხეთა, დუშეთი, ქარელი, გორი, კასპი, ხაშური, თეთრიწყარო, გარდაბანი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, საჩხერე, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, მესტია და ონი) შემუშავებული ან/და განხორციელებული აქვთ გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის და მისი თანმდევი რეზოლუციების სამოქმედო გეგმა (ან საკითხები არის ინტეგრირებული გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში).

მომხსენებლის ანგარიშის ფარგლებში, სამიზნე მუნიციპალიტეტებიდან ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია ტერიტორიულ ერთეულებში, ქალაქსა და სოფლებს შორის დამაკავშირებელი საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობასა და მათი განრიგის შესახებ. ასევე, არსებული სახელმწიფო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების (საბავშვო ბაგა-ბაღების), საჯარო სკოლებისა და პროფესიული სასწავლებლების ჩამონათვალისა და ადგილმდებარეობის შესახებ.

6. ძირითადი მიგნებები

2022 წლის მდგომარეობით, გაეროს წევრი 193 ქვეყნიდან, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებით ეროვნული სამოქმედო გეგმა აქვს 105 ქვეყანას, მათ შორის, მეოთხე ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე მუშაობს ან უკვე დამტკიცებული აქვს 6 ქვეყანას.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების კუთხით ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა[44] და ევროკავშირს[45] ცალკე მდგომი სამოქმედო გეგმები აქვთ დამტკიცებული.

ნატოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების მესამე 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმა 2021 წლის ოქტომბერში დამტკიცდა, ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრების მიერ. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი არის ყოვლისმომცველი, ამბიციური და სტრატეგიული მნიშვნელობის გეგმა, რომელიც ალიანსს უკეთ მოამზადებს დღევანდელი გამოწვევების დასაძლევად. სამოქმედო გეგმა ვრცელდება ნატოს ყველა მოკავშირეზე, რომელსაც ასევე შეუერთდა ნატოს 25 პარტნიორი ქვეყანა.[46]

საქართველო ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს 2011 წლიდან ახორციელებს. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა 2022 წლის 26 ოქტომბერს დამტკიცდა. აღნიშნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის რეკომენდაცია მონაწილეობითი პროცესის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

საქართველოს სახელმწიფო უწყებები და თვითმმართველი ერთეულები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებისათვის საერთაშორისო და სამოქალაქო ორგანიზაციებთან ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე თანამშრომლობენ.

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან, მათ შორის:

- მე-5 მიზანი: გენდერული თანასწორობა;

---

44 ნატოს სამოქმედო გეგმა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.nato.int/cps/en/natohq/official_texts_187485.htm

45 ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.coe-civ.eu/kh/eu-action-plan-on-women-peace-and-security-wps-2019-2024

46 ნატო - პარტნიორი ქვეყნების ჩართულობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებაში https://www.nato.int/cps/en/natohq/news_187547.htm

- მე-10 მიზანი: შემცირებული უთანასწორობა;
- მე-16 მიზანი: მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

მეოთხე ეროვნულ სამოქმედო გეგმას განხორციელებისთვის ცალკე მდგომი ბიუჯეტი აქვს, რომელიც შეადგენს 27 680 907 ლარს.

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრუქტურა - მიზნები, ამოცანები, აქტივობები, მათი გავლენისა და შედეგის ინდიკატორები, რისკები, პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყებები, დადასტურების წყარო, საბაზისო და სამიზნე მაჩვენებლები, განხორციელების ვადები და დაფინანსების წყარო - თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს მთავრობის N629 დადგენილების მოთხოვნებთან.

მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმის ადგილობრივ დონეზე განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, თვითმმართველი ერთეულები ოცამდე აქტივობაში არიან პარტნიორ უწყებად ჩართულები. სამიზნე მუნიციპალიტეტებს (მცხეთა, დუშეთი, ქარელი, გორი, კასპი, ხაშური, თეთრიწყარო, გარდაბანი, წყალტუბო, ქუთაისი, ხონი, საჩხერე, ზუგდიდი, წალენჯიხა, სენაკი, მესტია და ონი) შემუშავებული ან/და განხორციელებული აქვთ გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმა, მათ შორის, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325-ის და მისი თანმდევი რეზოლუციების სამოქმედო გეგმა (ან საკითხები არის ინტეგრირებული გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმაში).

რიგი გატარებული აქტივობის მიუხედავად, ქალებისა და ახალგაზრდების წარმომადგენლობა და ჩართულობა სამშვიდობო პროცესებში, სახელმწიფო პროგრამების შემუშავებაში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე, მათ შორის, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ადვოკატირებასა და განხორციელებაში კვლავ დაბალია. ასევე, დაბალია ქალების წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორშიც.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მეოთხე ეროვნული სამოქმედო გეგმა არ მოიცავს ადამიანის უსაფრთხოების და კერძოდ, კრიზისულ/საგანგებო სიტუაციებში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების ინფორმირების საკითხს, კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალადობის პრევენციისათვის პოლიტიკის შემუშავებისა და სპეციალური მექანიზმების უზრუნველყოფის, ასევე, კიბერუსაფრთხოებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში ქალების ჩართულობას.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა არ მოიცავს დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებას.

კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებების ანალიზიდან გამომდინარე იკვეთება, რომ დაბალია მოსახლეობის ხელმისაწვდომობა განათლებაზე, ინფორმაციაზე, მედიკამენტებზე, ჯანმრთელობის დაცვისა და საჯარო სერვისებზე, პროფესიული გადამზადებისა და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამებსა და ფინანსებზე. მაღალი მოთხოვნა და საჭიროება დგას ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების და ამ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით, ასევე გამყოფი ხაზის სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების გარკვეული რაოდენობისათვის უმაღლესი განათლების დაფინანსების გაზრდის თვალსაზრისით.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უწყებების მხრიდან დევნილთა დასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, ბევრი პროექტი განხორციელდა, ინფრასტრუქტურული პროექტები კვლავ მნიშვნელოვან საჭიროებად რჩება საცხოვრებელი, სამედიცინო, საგზაო და სატრანსპორტო კუთხით.

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა დასახლებებში მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე, ადამიანის უსაფრთხოებისა და დაცულობის კუთხით ეფექტიანი შედეგების მიღების მიზნით, ანგარიშის ფარგლებში გამოვლენილი გამოწვევებისა და ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ რამდენიმე რეკომენდაციას.

7. რეკომენდაციები

N	რეკომენდაცია	რეკომენდაციის შინაარსი	განხორციელების ინდიკატორი	განხორციელების ვადა	პასუხისმგებელი უწყება
1	ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში	რეკომენდაცია მოიცავს დასაქმებული ქალი სამოქალაქო პირების, ასევე ქალ სამხედრო მოსამსახურეთა და ქალ პოლიციელთა, წარმომადგენლობის გაზრდის ხელშემწყობი ზომების გატარებას გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე (მაგალითად: განყოფილების უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე, სამმართველოს უფროსი, სამსახურის უფროსის მოადგილე, სამსახურის უფროსი, ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, ადმინისტრაციის უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი, მინისტრის მოადგილე, მინისტრი).	თითოეულ პასუხისმგებელ უწყებაში გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე ქალთა წარმომადგენლობის არსებული მაჩვენებლის ზრდა მინიმუმ 10%-ით	2024 წლის IV კვარტალი	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო, დაზვერვის სამსახური, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, იუსტიციის სამინისტროს სპეციალური პენიტენციური სამსახური

2	ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალების ეფექტიანი ჩართულობისის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება	1. რეკომენდაცია მოიცავს სახელმწიფო უწყებიდან გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას; 2. რეკომენდაცია მოიცავს წინა მოსამზადებელი შეხვედრების ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოებისა და ქალთა სათემო ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებული გამოწვევებისა და საჭიროებების ასახვის ხელშეწყობას მოლაპარაკებების დღის წესრიგში.	1. მოლაპარაკებების მონაწილეთა საერთო შემადგენლობიდან მინიმუმ 30% არის ქალი; 2. მოლაპარაკებების რაოდენობა, სადაც დღის წესრიგით ასახულია ქალთა საჭიროებები.	2024 წლის IV კვარტალი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი
3	ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმში ქალების ეფექტიანი ჩართულობისის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარება	1. რეკომენდაცია მოიცავს მონაწილეთა წარმომადგენლობის გენდერული ბალანსის დაცვის ხელშემწყობი ზომების გატარებას;	1. შეხვედრების მონაწილეთა საერთო შემადგენლობიდან მინიმუმ 40% არის ქალი; 2. ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრების რაოდენობა, სადაც დღის წესრიგით ასახულია ქალთა საჭიროებები	2023 წლის IV კვარტალი;	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.

4	ადამიანის უსაფრ-თხოების საკითხე-ბის გათვალისწი-ნების ხელშეწყობა გენდერულ ჭრი-ლში - კრიზისული/ საგანგებო სიტუ-აციებში მზაობის შესახებ დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ინფორმი-რება	რეკომენდაცია მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მიერ ადამიანის უსაფრთხოების საკითხების გათვალისწინების ხელ-შეწყობასა და განხორცი-ელებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო სტრუქტურების იდენტიფიცირებას.	1.ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარა-ტის დებულებაში კრიზისული/ საგანგებო სიტუაციებში მზაობის შესახებ დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების ინფო-რმირება წა-რმოდგენილია როგორც ერთ-ე-რთი ვალდებუ-ლება	2023 წლის IV კვარტალი	ეროვნული უსაფრთხოე-ბის საბჭო
5	კონფლიქტთან დაკავშირებული სექსუალური ძალა-დობის პრევენციის მიზნით პოლიტიკის შემუშავება (სტა-ნდარტული საოპე-რაციო პროცედუ-რების განსაზღვრის ხელშეწყობა)	1. რეკომენდაცია მოიცავს კონფლიქტთან დაკავ-შირებული სექსუალური ძალადობის პრევენციის სტანდარტული საოპერაციო პროცედურების დოკუმენტის შემუშავებისა და დანერგვის მხარდამჭერ ღონისძიებებს;	1. შემუშავებული პოლიტიკა და დანერგილი სტანდარტული საოპერაციო პროცედურები; 2. ცნობიერების ამაღლების მიზ-ნით ჩატარებუ-ლია კვარტალში ერთი ღონისძი-ება.	2024 წლის IV კვარტალი	საქართვე-ლოს შინაგან საქმეთა სამი-ნისტრო

6	ძალადობრივი ექსტრემიზმისა და რადიკალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესებში გენდერული პერსპექტივის ინტეგრირებისა და ქალების ჩართულობის ხელშეწყობა	1. რეკომენდაცია მოიცავს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა დასახლებების სკოლებში ფსიქოლოგიური მომსახურების გაწევის ხელშემწყობ ღონისძიებებს; 2. რეკომენდაცია მოიცავს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა დასახლებებში სპეციალისტის კონსულტაციაზე და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი ზომების გატარებას.	1. გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფლებისა და დევნილთა დასახლებების სკოლების მინიმუმ 40% სარგებლობს ფსიქოლოგის მომსახურებით; 2. გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სოფლებისა და დევნილთა დასახლებების მინიმუმ 40%-ში მენტალური ჯანმრთელობის სერვისი ხელმისაწვდომია.	2024 წლის IV კვარტალი	1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; 2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
7	რეპროდუქციული ჯანმრთელობის პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის	რეკომენდაცია მოიცავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებსა და დევნილთა დასახლებებში	2024 წლის IV კვარტალი	ეროვნული უსაფრთხოების საბჭო; საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

8	საპარლამენტო ზედამხედველობის განხორციელება აღნიშნული რეკომენდაციების შესრულების მიზნით	რეკომენდაცია მოიცავს პასუხისმგებელი უწყებების მიერ შესრულებული ვალდებულებების პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას	2024 წლის IV კვარტალი		1. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო; 2. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.
9	სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის უზრუნველყოფა რეკომენდაციების განხორციელების შეფასების კუთხით	მომზადებულია წელიწადში მინიმუმ ერთი ანგარიში	2024 წლის IV კვარტალი		1. გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

8. გამოყენებული ლიტერატურა

1. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 (2000) და მისი თანმდევი რეზოლუციები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Iir1tN
2. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1325 (2000), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3EhA6Sr
3. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1889 (2009), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lQQinl
4. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2493 (2019), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IiCdGV
5. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2122 (2013), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/41daU9m
6. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2242 (2015), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YGT50O
7. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1820 (2008), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IegeAD
8. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1888 (2009), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3SfXZzF
9. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N1960 (2010), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3KndvHV
10. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2106 (2013), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ICQuzv
11. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია N2467 (2019), ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XEUlQM
12. ლობჯანიძე, თ., 2022. ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, კონფლიქტები და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში: ისტორიული კონტექსტი, თეორიული ასპექტები და პრაქტიკული გამოცდილება, გვ. 197. IBSN 978-9941-8-4918-3
13. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეროვნული სამოქმედო გეგმები, ხელმისაწვდომია: http://1325naps.peacewomen.org/
14. ნატო - ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Z6J9gQ
15. ნატოს დირექტივა Bi-SC 40-1, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/418UGOE
16. ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://www.coe-civ.eu/kh/eu-action-plan-on-women-peace-and-security-wps-2019-2024
17. გაეროს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის განცხადება S/PRST/2005 ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xCs0Ac
18. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ევროკავშირის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IgzjlH
19. უსაფრთხო მსოფლიო, ადრეული გაფრთხილება და პასუხი ძალადობრივ კონფლიქტს; 2015 წ. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე: https://rb.gy/64tbpx
20. ქალთა მონაწილეობა სამშვიდობო პროცესებში, საგარეო ურთიერთობათა საბჭო, ხელმისაწვდომია: https://on.cfr.org/3YJd9Qk
21. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, N1820, N1888, N1889 და N1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1558531?publication=0
22. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს N1325, N1820, N1888, N1889 და N1960 რეზოლუციების განსახორციელებელი 2012–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XKbyID
23. ქალთა საინფორმაციო ცენტრი - ალტერნატიული ანგარიში საქართველოში ქალთა უფლებებისა და გენდერის საკითხების შესახებ (CEDAW) 2015წ., ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Iis3WH
24. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016–2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lRO4El
25. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Kmo3qz
26. ქალთა საინფორმაციო ცენტრი - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2016-2017 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებელი მონიტორინგი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Knn3CS
27. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3IdpQMg
28. საქართველოს მთავრობის დადგენილება N629, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lSD8Gc

29. საქართველოს სახალხო დამცველი - ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების შესახებ, საქართველოს 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2021092011060915681.pdf
30. ქალთა საინფორმაციო ცენტრი - ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაციის პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ხელმისაწვდომია: http://www.ginsc.net/uploads/docs/cc1371947f6aacc405db8b7008856a0e.pdf
31. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Z1ZzHm
32. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დევნილი ქალების მობილობის ბარიერები და მათი ზეგავლენა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XQcMSt
33. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიში „სამიზნე თემების საჭიროებათა და მედეგობის სწრაფი შეფასების ანალიზი“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ID8lGh
34. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიში „ქალები P2P გზაზე: მიღწევები და გამოწვევები მშვიდობის მშენებლობაში“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3lKy1rD
35. იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობის“ ანგარიში „ქალების თვალით“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Z3F8d5
36. ქალთა ფონდი „სოხუმი“ - დასავლეთ საქართველოს 6 მუნიციპალიტეტში ქალებისა და ახალგაზრდების საჭიროებების შეფასების კონსოლიდირებული ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YlNYNz
37. ქალთა ფონდი „სოხუმი“ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალების საჭიროებები და პრიორიტეტები და მათი ინტეგრირების მნიშვნელობა ადგილობრივ პოლიტიკაში, ხელმისაწვდომია: https://www.fsokhumi.ge/images/2021/07/2/ktk-kvleva-2021.pdf
38. ქალთა ფონდი „სოხუმი“ - გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტებისთვის სასწავლო გრანტის დაუსაბუთებელმა და გაუფრთხილებელმა მოხსნამ საფრთხე შეუქმნა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობას უმაღლეს განათლებაზე, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3I89HHC

9. დანართი

დანართი N1: დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული კონსულტაციებისა და შეხვედრების ოქმები.

საქართველოს პარლამენტის თემატური მომხსენებლის (რაპორტერის)

თეონა აქუბარდიას ანგარიშის ფარგლებში

საქართველოში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებით გამყოფი ხაზის მიმდებარედ მცხოვრებ ქალებთან და ახალგაზრდებთან შეხვედრები ზუგდიდსა და გორში

ფოკუს ჯგუფების შეხვედრების ოქმები

შეხვედრები განხორციელდა იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია "თანხმობისა" და ქალთა ფონდი „სოხუმის" მხარდაჭერით

ორივე შეხვედრის დაწყებისას საქართველოს პარლამენტის წევრმა თეონა აქუბარდიამ და გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოსმა მედეა გუგეშაშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ვიზიტის მიზნები, შემდეგ დისკუსიის ფორმატში, მონაწილეთა მხრიდან აქცენტი გაკეთდა თემებში არსებულ გამოწვევებზე. გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება. ქვემოთ წარმოდგენილია ქალებისა და ახალგაზდების მხრიდან დასახელებული პრობლემური საკითხების ჩამონათვალი.

ფოკუს ჯგუფების მიზანი: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული თემების საჭიროებათა კვლევა.

ფასილიტატორი: მაია ავალიანი

დღე I: 6 დეკემბერი, 2022

მისამართი: ქ. ზუგდიდი, ფერდინანდის ქ. #6

შეხვედრას ესწრებოდნენ: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული

ქალები - მარინე გრიგოლია, ნანა ხვიჩავა, ნესტან წულაია, ანა ლეფონავა, ხათუნა ხელაია, ლელა ეზუგბაია, სოფიო შენგელაია, მარტინა გოგუა, ხათუნა გოგუა, მარიამ ნარმანია, სოფიკო გულორდავა და ნატო ქარაია (12 ქალი); პარლამენტის წევრი თეონა აქუბარდია, პარლამენტის წევრის თანაშემწე მარიამ ბეჟაშვილი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოსი მედეა გუგეშაშვილი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის კონსულტანტი მაია ავალიანი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარი უსაფრთხოების / ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის / მშვიდობის მშენებლობის კუთხით თემში არსებულ გამოწვევებზე:

- ზუგდიდში, დევნილთა ჩასახლებებში შემჩნეულია ხანდაზმული ქალი და ახალგაზრდა კაცი ბავშვების გამოსყიდვის მიზნით გატაცების მცდელობის შემთხვევებში;
- კრიმინოგენული მდგომარეობა გაუარესებულია არასრულწლოვნებთან მიმართებაში (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა):
  - ✔ მდგომარეობის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორი არის მშობლების მიგრაციაში წასვლა; ხშირად ბავშვები რჩებიან მშობლების ზედამხედველობის გარეშე, უკეთესს შემთხვევაში მოხუც ბებიებთან ან ბაბუებთან. შესაბამისად, დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ ქუჩაში, რაც იწვევს სავალალო შედეგებს. მაგალითად ნოემბერში 17 წლის ბიჭმა დაჭრა 15 წლის ბიჭი;
  - ✔ ასევე, გაიზარდა ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობა არასრულწლოვნებში, მათ შორის გოგოებში (მარიხუანას მოწევა, ფსიქოტროპული მედიკამენტების დალევა); ადგილი აქვს არალეგალური აფთიაქების არსებობას, სადაც არასრულწლოვნებიც იძენენ ფსიქოტროპულ მედიკამენტებს;
  - ✔ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობით აზარტული ონლაინ თამაშების ვებ. გვერდებზე დარეგისტრირება არ შეუძლია 25 წლამდე საქართველოს მოქალაქეს, ხშირია შემთხვევები როდესაც მშობლების, მათ შორის ბებია ბაბუების მოპარული მონაცემებით რეგისტრირდებიან როგორც ბიჭები, ასევე გოგოები;
  - ✔ აშკარად მოიმატა სუიციდის შემთხვევების რიცხვმა.
- ხშირია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ფაქტები, რაზეც ფაქტიურად არ არსებობს მიმართვიანობა შესაბამისს უწყებებში. ეკონომიკური და არამდგრადი ფსიქოლოგიური მდგომარეობა რა თქმა უნდა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამომწვევი ფაქტორია ზემოხსენებული ძალადობის ფორმების; სტერეოტიპული შეხედულებები უმეტეს წილად არ აძლევს ქალს საშუალებას მიმართოს პოლიციას (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- თითოეულ თემში და ადმინისტრაციულ ერთეულში, უნდა იყოს არაფორმალური განათლების მიღების საშუალება ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრე-

ვენციის თემებზე (სოფ. ახალიაბასთუმანი); ძალადობის შემდეგ ვრეაგირებთ, თავშივე უნდა დავიწყოთ რეაგირება, არასაკმარისია რასაც ვაკეთებთ; პოტენციური მსხვერპლები ვართ; ცენტრში მაინც უნდა არსებობდეს ფსიქოლოგის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, ქალმა ჯერ თავის თავში უნდა აღიაროს რომ მსხვერპლია (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);

- ძალიან ცოტა ქალების თავშესაფარი გვაქვს ქვეყანაში, ჩვენთან არც მოხუცთა თავშესაფარი არ არის რომ ძალადობისგან თავი დააღწიოს ადამიანმა (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ჩვენი პოლიციელები არიან გამყოფი ხაზის სოფლების შესასვლელთან, მერე სოფელი და გამყოფი ხაზის იქით რუსების საგუშაგოებია (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გარე განათების არარსებობა დაუცველობის შიშს აძლიერებს გამყოფი ხაზის სოფლებში, განათება ან საერთოდ არ არის ან სათანადოდ არ არის (შეიძლება იყოს ერთი ლამპიონი ცენტრში) (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- საპატრულო პოლიცია და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის წარმომადგენლები (შსს) პატრულირებენ სოფელში და შედეგად, უფრო დაცულობის შეგრძნება გაჩნდა (სოფ. ტყაია - ნანა ხვიჩავა);
- გამყოფ ხაზებთან ვიდეოკამერების საკითხი მოუწესრიგებელია (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ბოლო 7 წელი ადამიანი არ დაკარგულა, სოფელ რუხში გამყოფ ხაზთან არის მდინარე, ხშირია საქონლის დაკარგვის შემთხვევები, მსხვილფეხა საქონელი უფრო იკარგება; პატრულირებაც არის რუხში (რუხის მაცხოვრებლები ნესტან წულაია, ანა ლეფონავა);
- ახალი აბასთუმნის და ტყაიას გზები გაკეთდა, შეგიძლია ადვილად გადახვიდე ამ სოფლებში (სოფ. ტყაია - ნანა ხვიჩავა);
- აფხაზები და ოსები ვხვდებით ბერგჰოფის ცენტრის ფორმატში - ახალგაზრდების ინფორმირების დონე არის დაბალი კონფლიქტზე; სკოლებში ცოტა ინფორმაციაა ამ თემებზე, ისტორიას რასაც ვასწავლით აფხაზეთისა და ოსეთის ომზე არაფერი არაა თითქმის. კავკასიის სახლმა გამოსცა პუბლიკაცია და იქნებ სკოლის პროგრამაში დაემატოს ეს საკითხები (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გალის რაიონის სოფლებში, ქართული ენის სწავლება არის ძალიან შეზღუდული; ეშინიათ გაკვეთილების ჩატარება (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სამშვიდობო პროცესებში ქალების ჩართულობასთან დაკავშირებით მზად ვართ მივიღოთ მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში. ფოკუს ჯგუფები გვქონდა და ყველას ჰქონდა თავისი ხედვა (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);

- საერთაშორისო დელეგაციებს ვხვდებით, ევროკავშირის მონიტორინგის მისიასაც, ვაწოდებთ ჩვენ საჭიროებებს (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- უნდა ვეცადოთ, რომ მეტი ქალი გვყავდეს უსაფრთხოების სფეროში, ასევე გადაწყვეტილების მიმღები; კონფლიქტის მოგვარების და მშვიდობის პროცესებში ქალთა მონაწილეობაზე ნაკლებია საუბარი და იკლო ქალების მონაწილეობამაც (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სკოლებში ვიზიტები უნდა ჩატარდეს, არსებული შესაძლებლობები უნდა გავაცნოთ ახალგაზრდებს აუცილებლად. შესაძლებელია ლაშქრობების მოწყობა, როგორც სკოლის მოსწავლეების, ასევე სტუდენტების ჩართულობით როგორც ეთნიკურად ქართველი ასევე, აფხაზი და ოსი ახალგაზრდებისთვის (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- იყო შემთხვევა ხურჩაში აფხაზი ბავშვები გადმოვიდნენ და გავაცანით ადგილობრივ ბავშვებს, დიდი და ძალიან დადებითი ემოციები გამოიწვია. ბავშვთა თეატრი ჩატარდა; ბანაკების მოწყობა უნდათ ბავშვებს, ამით ინტერესდებიან (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარი ინფრასტრუქტურის კუთხით თემში არსებულ გამოწვევებზე:

- ხობში, დევნილთა ჩასახლებაში, 30 წლის შემდეგ ისევ იგივე პირობებში ვართ, დამეწყრილია იქაურობა და ფაქტიურად აუზში გვიწევს ცხოვრება. სასურველია ხობის მუნიციპალიტეტში მოხდეს ჩვენი განსახლება, შევეჩვიეთ იქაურობას. ბევრია სოციალურად დაუცველი პირი ჩვენ შორის, მხოლოდ სოციალურად დაუცველებს არ სჭირდება თანადგომა, ვინც დასაქმებულია იმასაც უნდა თანადგომა (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ზოგადად ერთსულიან ოჯახს ვერ ასახლებენ, ერთოთახიანების პრობლემაა ყოველთვის. კორპუსებს აშენებენ დიდ ქალაქებში, რამდენს დაიტევს ზუგდიდი, შეუძლებელია უკვე „გეტოდ“ იქცა. შესაძლებელია წალენჯიხაშიც აშენდეს საცხოვრებელი კორპუსები (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სოფელ ინგირში ყველაზე დიდი კომპაქტური ჩასახლებაა, 400 დევნილი ოჯახი და 120 სოციალურად დაუცველი ადამიანი ცხოვრობს. საბავშვო ბაღი „წითელქუდა“ გავხსენით, გვაქვს შენობის პრობლემა მუნიციპალური ბაღია და შენობის ქირას მუნიციპალიტეტი იხდის, თვეში 500ლარს. შენობა არის ნგრევადი, როდემდე იქნება იქ გაჩერების საშუალება არ ვიცით. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში კიდევ ორი ბაღია “წითელქუდაზე“ კვლავ დიდი მოთხოვნაა. დანიის საბჭომ მოგვცა გრანტი, ბაღი უნდა აეშენებინათ, მაგრამ მერე შეჩერდა ეს პროცესი და არ ვფლობთ ინფორმაციას რატომ. განათლების სამინისტროსაც მივაწოდეთ ამაზე ინფორმაცია - ხათუნა გოგუა;
- მუჟავა სოფელია წალენჯიხის რაიონში - არ არსებობს მუნიციპალური ტრანსპო-

რტი რაც ზუგდიდთან დაგვაკავშირებს, არ გვაქვს სკოლაში კვების ობიექტი, რადგან ცოტა ბავშვია, უწევთ გზის მეორე მხარეს გადასვლა, საკვების იქ შეძენა და საფრთხეების წინაშე დგებიან. ადგ. ხელისუფლებას მივმართეთ სკოლის სველი წერტილებისა და ღობის მოწყობასთან დაკავშირებით და გვიკეთებენ. ბუფეტის საკითხი კვლავ ღიად რჩება. ბევრი რამ გვჭირდება იმისთვის რომ სოფელში ხალხი დარჩეს; სამუშაო არ არის, დასაქმების პრობლემაა; ინტერნეტის პრობლემა გვაქვს, როგორც დაფარვის, ასევე გადასახადის, მაგთი ძალიან ძვირია; სოფლის მიწა დამეწყრილია და წელს მოსავლის გარეშე დავრჩით, სიმინდზე ვაუჩერი იქნებ დაგვირიგონ - ლელა ეზუგბაია, დევნილი;

- სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეები, სტადიონები არის მაგრამ ქალები იქ არ დადიან, სკვერებში აუცილებელია ტრენაჟორების გაკეთება (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ახალგაზრდული სივრცეებია საჭირო უფრო მეტი, უნდა დაიტვირთონ რომ არც წასვლის სურვილი არ გაუჩნდეთ და არც აზარტული თამაშებით ან კრიმინალით არ დაკავდნენ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- მოხუცთა თავშესაფრები არ არის რეგიონში, ბევრი მოხუცი არის დარჩენილი უპატრონოდ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სოფლები დაცლილია ხალხისგან, ემიგრაციაშია ყოველი მეხუთე ქალი. საჯარო სამსახურებში ადგობრივ დონეზე ძალიან დაბალი ხელფასებია, საშუალოდ 450 ლარი, ზამთარში კი კომუნალური მომსახურების გადასახადი იზრდება 400 ლარამდე, გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობა ეძებს ყველანაირ საშუალებას, მათ შორის მიგრაციას, რომ თავი დააღწიოს უკიდურესს გაჭირვებას (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სენაკში სამხედრო დასახლების (20-25 შენობაა) კანალიზაციის საკითხის გარკვევაში მერის მოადგილე ლევან ელიავა გვეხმარება, გვაქვს მასთან კავშირი, ველოდებით შედეგს (სარდაფებში გროვდება წყალი და არ ექვემდებარება ამოტუმბვას შედეგი არ ექნებაო, არის სუნი, კოღო), როგორც ჩანს ახალი გაყვანილობის სისტემა არის გასაკეთებელი - სენაკი, ნატო ქარაია, დევნილი;
- 8 ოჯახი ვართ - 4 ცუდ მდგომარეობაში, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა აქვთ (წამლის ყიდვის საშუალებაც არ აქვთ); გავაკეთეთ შენობის გადახურვა და შემოღობვა, მაგრამ კანალიზაციის პრობლემას არაფერი არ ეშველა, საშინელი მდგომარეობაა. მერიიდან გვპირდებიან ამოწმენდას, მაგრამ ცენტრალურად თუ არაფერი ეშველა ასე მაინც ვერ მოგვარდება, განსაკუთრებულად რთული ვითარებაა ზაფხულში - ნესტან წულაია, დევნილი, რუხი;
- მუსიკალური სკოლის შენობაში, პატარა ნესტიან ოთახში ცხოვრობს ქალი, გაუსაძლისს პირობებში, შვილთან ერთად (ქულის მომატებაც ჭირდება ამ ქალს) მარტო ეს ქალია ამ შენობაში - ანა ლეფონავა, დევნილი, რუხი;
- ზუგდიდში, ე.წ. ბარამიას დასახლებაში ზაფხულში არ არის ადგილი რომ ჰაერი ვისუნთქოთ; ვიწრო ჩასახლება გაკეთდა, რა საჭიროა ამდენი სახლის ერთად

ჩადგმა; ამის შემდეგ არ ააშენონ ასეთი დასახლებები; სანიაღვრე სისტემა არ არის და ტალახში ვართ, ავტობუსის გაჩერების მოწყობაც აუცილებელია და პოლიციის განყოფილების გაკეთებაც ამხელა დასახლებისთვის. ერთი ოთახი რომ იყოს სადმე შეკრების ადგილი, ქალებიც ისარგებლებდნენ და ახალგაზრდებიც - ხათუნა ხელაია;

- სოფელ ტყაიას არ აქვს ამბულატორია და არც ინტერნეტის დაკაბელება არ არის და ცუდი კავშირია ძალიან; ადმინისტრაციული ოთახი, შეკრების რამე ადგილი რომ გაკეთდეს, მერის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩაში ღებულობს ხალხს - ნანა ხვიჩავა;
- სოფელ ახალაბასთუმანში არ არის ბაღი, ძალიან გვჭირდება. გაზი - შემოყვანილია სოფელში, მაგრამ ინდივიდუალურად შემოყვანის პრობლემა;
- ზუგდიდის ძველი კომბინატის შენობა დაშლილია და აპირებენ კორპუსების ჩადგმას და ხალხი უკმაყოფილოა (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- შშმ პირების ადაპტაციის პრობლემა არის რეგიონში, არ არის გამართული ინფრასტრუქტურა, გზები, ძალიან ძნელია (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სოფელი ინგირის დევნილთა დასახლებასაც აქვს კანალიზაციის პრობლემა - მარინე გრიგოლია, დევნილი;
- დევნილთა კომპაქტური ჩასახლებები რომელიც დახურეს, ნგრევად შენობაში, კვლავ ცხოვრობს ხალხი („ან სთავაზობენ საქათმეს“), საშიშია იქ ცხოვრება ადამიანის სიცოცხლისთვის (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარი საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის (ჯანმრთელობის.დაცვა, პროფესიული განათლება, დასაქმება, საკუთრების უფლება....) კუთხით თემში არსებულ გამოწვევებზე:

- ზუგდიდში, ბარამიას დევნილთა დასახლებაში მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბევრი პირია, ზოგი აგრესიულიც კი არის. 5 წელია ვცხოვრობთ და სამი სუიციდის შემთხვევა იყო; ფსიქიატრის/ფსიქოლოგის მომსახურების პროგრამები გვჭირდება აუცილებლად. ასევე, გვიჭირს ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა გრანტებთან დაკავშირებით, ასევე კურსებთან დაკავშირებითაც - ხათუნა ხელაია;
- რუხში არ არის აფთიაქი. ამბულატორია არის. არ ვიცი, კორუფციულ თემასთან ხო არ გვაქვს საქმე, ექიმები ნიშნავენ ძვირიან წამლებს, მოსახლეობიდან არის უნდობლობა უკვე მათ მიმართ); ხალხს უჭირს კომუნალურების გადახდა გამყოფ ხაზთან, იქნებ ვაუჩერები დარიგდეს ხუთი თვის განმავლობაში - ანა ლეფონავა;
- ინგირის დევნილთა ჩასახლებაში ქალებს ეკონომიკური გაძლიერება სჭირდებათ, მცირე მეწარმეობაზე მიკრო გრანტით მოგვცეს საკერავები მანქანები, გა-

დამზადდა სამი ქალი. შევიძინეთ ნაჭრები და კერავდნენ თეთრეულს (დაბალ ფასში, ხარისხიანი). ძალიან ჭირს ნედლეულის შესყიდვა, რამე გრანტი თუ იქნება ამ კუთხით ასევე შესაძლებელი იქნება დამატებით სხვა ქალების ჩართვაც ამ საქმეში; ბიზნეს გეგმის წერა და აპლიკაციის შევსების პრობლემებიც გვაქვს, კარგი იქნება კურსების გავლა ამასთან დაკავშირებით; მიწის ფართების დაკანანონების საკითხი არის ძალიან პრობლემური, გაშენებული აქვთ თხილნარი, თვითნებურად. დევნილებს არ უკანონებენ მიწის ნაკვეთებს, თუნდაც არავისი არ იყოს. გრანტების მიღებაზე მონაწილეობის მისაღებად კი ეს ძალიან ხელისშემშლელია, რადგან საკუთრების ცნობას ითხოვენ, იქნებ მოგვარდეს ეს საკითხი - მარინე გრიგოლია;

- ქრონიკული დაავადების მქონე დევნილებისთვის სამედიცინო მომსახურებაზე შეღათების დაწესებაა აუცილებელი და ასევე მედიკამენტების დაფინანსებაც, წამლების რომლის ფასიც აღემატება 50 ლარს - ინგირი, მარტინა გოგუა და სხვა რამდენიმე ქალი;
- მუჟავაში 1200-მდე ადამიანი ცხოვრობს და აფთიქი არ გვაქვს ლელა ეზუგბაია, დევნილი;
- ახალგაზრდებისთვის - ბარიერებია - ერთ მერხთან არიან გამყოფი ხაზის სხვადასხვა სოფლის მოსახლეები, ნაწილს აფინანსებენ და ნაწილს არა უმაღლესებში - ლელა ეზუგბაია;
- დევნილ სტუდენტებს შეუმცირდათ დაფინანსება, სტატუსის მიუხედავად (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გალში და გამყოფ ხაზთან მცხოვრები ახალგაზრდები სარგებლობენ უმაღლესი განათლების დაფინანსების შეღავათებით, მაგრამ საკმაოდ შემცირდა სოფლების ჩამონათვალი, ყოველ წელს იცვლება და შიშით ელოდებიან ახალგაზრდები მოხვდება თუ არა მათი სოფელი დაფინანსებაში. ასევე, დევნილმა სტუდენტებმაც უნდა ისარგებლონ უმაღლესებში დაფინანსების შეღავათებით (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სოფელ ნაშამგუს ახალგაზრდებს არ აქვთ უმაღლესი განათლების დაფინანსება, არანაირი შეღავათი, სოფელი გამყოფ ხაზთან მდებარეობს (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- კარგი იქნება არაფორმალური განათლების მიღების კუთხით ხელშეწყობა გვქონდეს, ასევე ინფორმაციას ვერ ვიღებთ ხშირად რამე კურსები თუ ცხადდება;
- ბევრ სოფელს არ არქვს ამბულატორია. სადაც ამბულატორიაა იქ ექიმი ხშირად არ არის, ან მოწყობილი არ არის; რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხითაც გვაქვს პრობლემები; მოძრავი მანქანები მაინც რომ იყოს სკრინინგის და სხვა დაავადებების კუთხით კარგი იქნება, ხალხი წინასწარ მოგროვდება მაინც, უჭირთ ქალაქამდე ჩასვლა, ბევრს საშუალება არ აქვს, ბევრს კი ჯანმრთელობა - მარინე გრიგოლია.

დღე II: 7 დეკემბერი, 2022

მისამართი: ქ.გორი, სუხიშვილის ქ. #63 (ვერხვები)

შეხვედრას ესწრებოდნენ: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები - ლია მიქელაძე, მაგული ოქროპირიძე, ხათუნა ღვინიაშვილი, მაკა არჩუაძე, გალინა ქელეხსაევა, ნაზი ბერუაშვილი, ციცინო ელიკაშვილი, მარეხი გოგიძე, ნათია მჭედლიძე, თამარ საჩალელი, ლია ჩლაჩიძე, ია ზუბაშვილი, მარინა ფოჩხუა (13 ქალი); პარლამენტის წევრი თეონა აქუბარდია, პარლამენტის წევრის თანაშემწე მარიამ ბეჟაშვილი, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის ანალიტიკოსი მედეა გუგეშაშვილი და გაეროს ქალთა ორგანიზაციის კონსულტანტი მაია ავალიანი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარი უსაფრთხოების / ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის / მშვიდობის მშენებლობის კუთხით თემში არსებულ გამოწვევებზე:

- სულ აქვს ადგილი მცოცავ ოკუპაციას, გაიხედავ და ღობე გადმოწეულია (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- დავაყენოთ კამერები - სოსო ვახტანგაშვილი სულ ამას მოითხოვს; მერეთის ბავშვებმა საოკუპაციო ხაზთან ღობეზე იქანავეს და იმათმა [რუსეთის] 9 კამერამ დააფიქსირა (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გზის განათება - გარე განათება არაა ერგნეთში, არც გამყოფი ხაზის სხვა სოფლებში (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- 11 სახლი ცარიელი ჩემს ირგვლივ, მარტო ვარ ამხელა ტერიტორიაზე, კამერები არ არის, გარე განათება არ არის; მოსახლეობაში ცნობადობის ამაღლებაა საჭირო უსაფრთხოების კუთხით რას გეგმავს სახელმწიფო - ლია ჩლაჩიძე ერგნეთი;
- ადამიანის უფლებათა აქტივისტი ქალები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გდდ -ს ხალხი იშვიათად დადის სოფლებში, ისე დგანან და ცენტრალურ ტრასაზე; EUMM-ს (ევროკავშირის მონიტორინგის მისია) მანდატი აქვთ შეზღუდული (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გენდერული თანასწორობის საბჭოები ადრე ესწრებოდნენ შეხვედრებს, მოგვისმენენ და მერე იკარგებიან (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- 10 წელი პარლამენტიდან არავინ ჩამოსულა ამ ხნის განმავლობაში (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ხაშურის დეპუტატს ველოდებით ხალხი - მონაწილეები ხაშურის მუნიციპალიტეტის გამყოფი ხაზის სოფლებიდან;
- მშვიდობის მშენებლობის კუთხით გამყოფი ხაზის სოფლებიდან (შიდა ქა-

რთლის) ქალთა ფორუმები უნდა დაორგანიზდეს, ერთმანეთთან შეხვედრები უნდა მოვაწყოთ, პრობლემები მეტ წილად იდენტურია და გვექნება ერთმანეთისთვის გასაზიარებელი გამოცდილება (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);

- გამყოფი ხაზის სოფლებში უსაფრთხოების სამოქმედო გეგმები უნდა გვქონდეს როგორ ვიქცევით, არაა არც მოკლე და არც გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გამყოფი ხაზის სოფლებში ჩვენი ტელეფონები ისმინება იმათი [რუსეთის] მხრიდან (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ოჯახში ძალადობა დიდი პრობლემაა სოფლებში, სტერეოტიპული შეხედულებები აქვთ, მიმართვიანობისგან ყველა თავს იკავებს, არ იციან ვის მიმართონ ერთი და მეორე ,,რას იტყვის ჩემი მეზობელი?!“ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ხშირია მარიხუანას მოხმარება სკოლის მოსწავლეებში, მათ შორის გოგოებშიც (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- მიგრაციის პრობლემაა თითქმის ყველა სოფელში (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- თემში საჭიროებების კვლევა გააკეთეს ქალებმა მიაწოდეს ოთხ მუნიციპალიტეტს: გორი, ხაშური, ქარელი, კასპი.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარი ინფრასტრუქტურის კუთხით თემში არსებულ გამოწვევებზე:

- ამბულატორიებს ხშირ შემთხვევაში წყალი არ აქვთ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სადაც გზა არის დაგებული იქაც ფუჭდება ნელ-ნელა სანიაღვრეები რომ არ არის; ავტობუსის მოსაცდელები არ გვაქვს. ამ საკითხებზე შეტანილი გვაქვს მოთხოვნა და ველოდებით რეაგირებას (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- სარწყავი წყლის პრობლემა გვაქვს გამყოფი ხაზის სოფლებში (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ტრანსპორტი ძალიან ცუდად დადის, თან საკმაოდ ძვირია, 8 ლარია გორამდე (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ძალიან რთულად გვაქვს ინტერნეტის მოწოდება, დაკაბელებაზე არ შემოდიან ბევრ სოფელში, განსაკუთრებულად გაგვიჭირდა პანდემიის დროს, ბავშვებს სწავლაზე ეშლებოდათ ხელი (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეთა საუბარი საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის (ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიული განათლება, დასაქმება, საკუთრების უფლება....) კუთხით თემში არსებულ გამოწვევებზე:

- გახშირებულია ონკო დაავადებები მკერდი, საშვილოსნოს ყელი, სწორი ნაწლავი, პროსტატა. შემცირებულია შობადობა, ქალებს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. სკრინინგის პროგრამით სარგებლობა ადგილზე ძალიან გვესაჭიროება ძუძუს კიბო, საშვილოს ყელი, ფარისებრის და სხვა დაავადებების კვლევები, რისი შესაძლებლობაც იქნება როგორც ახალგაზრდებისთვის, ასევე ხანდაზმულებისათვის (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გამყოფი ხაზის სოფლებში მიწების დარეგისტრირება არის ძალიან დიდი პრობლემა, სისტემური რეგისტრაციის საკითხზე კანონში ცვლილების ინიცირება არისო საჭირო რეგისტრაცია და აზომვა უფასო რომ გახდესო, თუ შესაძლებელია მოხდეს ამ საკითხის ინიცირება (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- კასპის რაიონში გააუქმეს სამშობიარო და გვიჭირს ამ კუთხით (კასპის რაიონის სოფლების წარმომადგენლები);
- აფთიქები არ არის სოფლებში. ამბულატორიებს არ აქვთ არანაირი მედიკამენტი, რაც პენსიონერებს ისედაც უფასოდ ეკუთვნით, ხომ შეიძლება ის წამლები მაინც იყოს ადგილზე, თუნდაც პირველადი დახმარების (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- კნოლევში ამბულატორია დგას, გინეკოლოგიური კაბინეტიც არის, გინეკოლოგი არავის უნახავს;
- ნიქოზს აქვს კარგი ამბულატორია;
- ექიმი ერგნეთში მოდის კვირაში ერთხელ ან ორ კვირაში ერთხელ; რამდენიმე ამბულატორიაში არიან დასაქმებული - ლია ჩლაჩიძე, ერგნეთი;
- ვარსებობთ კი არ ვცოცხლობთ, სოფლის მეურნეობა არის ძირითადი შემოსავალი; მოსავალის რეალიზაცია გვიჭირს; წვენის ქარხანაში ნახეთ ხალხი რა დღეშია, კვირაობით დგას რიგში ვაშლის ჩაბარებაზე; ისე ძვირია მოვალა, 15ჯერ იწამლება ხილი; ძალიან დაბალი ფასი აქვს პროდუქტს, არც იყედება, იქნებ ადგილზე მოვიდნენ და იყიდონ მოსახლეობისგან - ციცინო ელიკაშვილი, ზარდიაანთკარი;
- აგროსესხები კი არის, მაგრამ პროცენტი გასამმაგებულია შარშანდელთან შედარებით, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა ნაკლებად გვაქვს (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- შესაწამლი ნივთიერებები არ არის ხელმისაწვდომი (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გაზის ორასლარიანი ვაუჩერი სამყოფი არ არის, იქნებ გაიზარდოს ეს თანხა - ლია მიქელაძე, კოშკა;
- ქვემო ჭალა სამ კილომეტრშია გამყოფი ხაზიდან, სტატუსი არ გვაქვს, სარწყავი წყალი დიდი პრობლემაა; არ მოდის მოსავალი; უნდობლობა თემში - სარწყავ

წყალზე ხელმოწერებს ძლივს ვაგროვებ; საინფორმაციო დაფები არ არის სოფლებში - თამარ საჩანელი;

- 2008 წლის მერე სოციალური დახმარება ვისაც მართლა ეკუთვნის მოუხსნეს, ვისაც არ ეკუთვის აქვთ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- გრანტები, რომ გვონდეს ჩირის საშრობების კოოპერატივს გავაკეთებდით და გაუადვილდებოდა ქალებს (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- დასაქმების სერიოზული პრობლემაა, მიგრაციისაც; პროფესიულ სასწავლებელში ვერ დადიან, უნდა გახდეს დისტანციური მაგრამ ინტერნეტიც არაა; მოკლევადიანი ტრენინგები ძალიან კარგი საშუალებაა, იმედია გვექნება საშუალება რომ მონაწილეობა მივიღოთ (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა);
- ხეხილის ნერგებიც გვიჭირს, ძვირია, თუ იქნება ამ კუთხით მხარდაჭერა ძალიან დაგვეხმარებით (ყველა მონაწილის მიერ დასახელებული გამოწვევა).